# გილოცავთ აღდგომას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 27 – 28 აპრილი, 2019

№99 (8053)

ფასი: 60 თეთრი

## უკრაინელი იულია სუსლიაკი ტრეფიკინგის ბრალდებით დააკავეს



გვ.7

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# „ივანიშვილი ოპოზიციაში გადადის“



გვ.3

## მეგი გოცირიძე: „ფაროსანას საწამლავით ხალხი მოწამლეს“





გვ.4

## ნიკა ჩიტაძე: „ზურაბიშვილის გარეჯში ჩასვლა დაძაბულობას ვერ გამოიწვევდა“



## სოსო ცინცაძე: „აზერბაიჯანი დავით გარეჯს შეიძლება პოლიტიკურ იარაღად იყენებდეს“



გვ.2



## სუსის მუშაობის გასაჯაროება დაუშვებელია



გვ.4

## ევროპაში მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება გამკაცრდება?



რა ბედი ელის საქართველოს ვიზალიბერალიზაციას

გვ.5

### სამართალი

გვ.7



**მოსკოვში საქართველოს მოქალაქემ 1 კაცი მოკლა და მერე თავი მოიკლა**



**სულიკო ზერეკიძე გორის ქარის გენერატორების ოფისის ეზოში გარდაცვლილი იპოვეს**



**ნავთლუღის ბაზართან ჯიხურები დაიწვა**

### ეკონომიკა

გვ.6

**საქართველოში ინვესტიციები 2009 წლის დონეზეა**



**მაია მელიქიძე: „განახლებადი ენერგიების არსებობა ქვეყნის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა“**



**„შავი პომიდორი“ – ახალი ჰოსტელი ქუთაისში**



ISSN 1987-9385

**2** ხათუნა ლაგაზიძე: „საით მიდის ბიძინა ივანიშვილის საქართველო?!“

**3** აჰმედ იმამყულიევი: „ხელისუფლებამ არც ერთი დანაპირები არ შეასრულა“

**4** კობა გვენეტაძე: მთავარი პრინციპი, რომ სესხი გაიცეს მხოლოდ გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე, არ შეიცვლება

**7** ლევან ჯიბლაშვილი: „როცა მიქერდნენ, მითხრეს, ვითომ გადალებაზე ხარო“

# სოსო ცინცაძე: „აზერბაიჯანი დავით გარეჯს შეიძლება პოლიტიკურ იარაღად იყენებდეს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის შესაძლო ამოქმედებასა და დავით გარეჯზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, რამდენად რეალურია, რომ ევროკავშირმა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით შეჩერების მექანიზმი აამოქმედოს?***

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ევროკავშირი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს და არ აამოქმედებს სადამსჯელო ღონისძიებას, როგორიც არის შეჩერების მექანიზმი.

თვითონ ევროკავშირიც მძიმე მდგომარეობაშია. მე არ ვგულისხმობ ლტოლვილების ნაკადს სირიიდან თუ სხვადასხვა ქვეყნიდან. ლამის მილიონი სირიელის შეფარება მოუწია ევროპას და, რასაკვირველია, ეს რთულ მდგომარეობაში აგდებს მას. ახლა მერკელი თავის იდაყვებს იკვნეტს ამ გადაწყვეტილებისთვის, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია.

მე ვგულისხმობ იმას, რომ პოლიტიკურად რთულ მდგომარეობაშია ევროკავშირი. მას დღეს მოკავშირეების, იმ ღირებულებების შიმშილი აქვს, რომლებზეც დგას ევროკავშირი, მოდი, ასე ვთქვათ, ევროპა. თქვენ იცით, რა მოჰყვა ბრექსითს, გადაწყვეტილება ჯერ ისევ არ აქვს მიღებული დიდი ბრიტანეთის პარლამენტს და ამას პრემიერ ტერეზა მეის პოსტი ლამისაა შეეწიროს.

ერთი სიტყვით, დღეს ევროპა ძალიან რთულ დღეშია, ამიტომ ის სანთლით ეძებს რეალურ მოკავშირეებს. ერთ-ერთი მოკავშირე ღირებულებების დონეზე შეიძლება იყოს საქართველო, ამიტომ მე არ მგონია, რომ ევროკავშირმა ასეთი ნაჯახისებური გადაწყვეტილება მიიღოს და შეჩერების მექანიზმი აამოქმედოს.

***— თავის დროზე ხომ ამიტომ ჩაიდო ეს მექანიზმი?***

— აბსოლუტურად გეთანხმებით. დღე არ გავა, უცხოურ მედიაში ინფორმაცია რომ არ იყოს ქართული კრიმინალური დაჯგუფების დაკავების შესახებ. კრიმინალების ექსპორტი, მათხოვრად ქცეული ხალხი, რომელიც თავშესაფარს ითხოვს, ეს ყველაფერი ძალიან მძიმე საყურებელია, მაგრამ თავის დროზე მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროკავშირის მიერ. ვიზალიბერალიზაცია არის ის მინიმუმი, რაც ჩვენთვის ევროვკავშირს შეუძლია გააკეთოს.

ევროკავშირში ჭკვიანი ხალხია, ჩვენს პარლამენტს კი არ ჰგავს. მათ იციან, რას ნიშნავს რეალური მოკავშირეობა, რომელიც ფასეულობებზე დგას, ფასეულობებს ეყრდნობა, ამიტომ ის ეცდება, მოლაპარაკებების გზით საქართველოს ხელისუფლებასთან ეს რეალობა გამოასწოროს და აიძულოს ხელისუფლება, რაღაც იღონოს, რათა უკანონო მიგრაცია შეაჩეროს.

***— რა უნდა გაკეთდეს, რომ ყოველდღიურად ხალხი არ მიადგეს პარიზს, ბერლინს, ვენას და თავშესაფარი არ ითხოვოს?***

— ეს პრეტენზია ჩვენს ხელისუფლებასთან არის. მთავრობამ უნდა გაანძრიოს ხელი, უნდა შექმნას ის გარემო, რომ ქვეყნიდან ხალხი კი არ გარბოდეს ლუკმა-პურის საშოვნელად და ლტოლვილად კი არ უნდა ბარდებოდნენ, არამედ, პირიქით, წასულ ემიგრაციას დაბრუნების სურვილი უნდა უჩნდებოდეს. მაშინ გვეყოლება კარგი ხელისუფლება. ეს სერიოზული პოლიტიკური ინდიკატორიც არის ნებისმიერი ხელისუფლებისთვის.

***— დავით გარეჯზე მინდა გკითხოთ. თურქეთის გარდა, არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან საზღვრები არ გვაქვს დადგენილი. გასაგებია, რთული პროცესია, მაგრამ 20 წელზე მეტია, კომისია მუშაობს და რატომ ვერ მოხერხდა საზღვრის დადგენა აზერბაიჯანთან?***

— ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა ამ საკითხზე. ჩემს დროს ხდებოდა ეს ყველაფერი და კარგად მახსოვს. თუმცა, პროცესი იმთავითვე ძალიან გაჭიანურდა. აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მოკავშირეები არიან, მაგრამ, ხომ იცით, ყველა საკუთარი ინტერესებიდან გამოდის.

***— ამ საკითხზე რამდენიმე წლის წინ აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე ჩავწერე, რომელმაც მითხრა, ჩვენ მზად ვიყავით, დავით გარეჯის კომპლექსის სანაცვლოდ ძალიან დიდი საძოვრების ტერიტორია მიგვეცა აზერბაიჯანისთვის, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენო.***

— დიახ, სწორია, არ დათანხმდნენ.

***— რატომ?***

— კი ვამბობთ, რომ მეგობრები ვართ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის აზერბაიჯანის მხარე მზად გარკვეული კომპრომისისთვის. ცხადია, ალიევი თავისი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. კომისიამ აუცილებლად უნდა გააგრძელოს მუშაობა, მაგრამ მოლაპარაკება ძალიან მაღალ დონეზე, პირველი პირების დონეზე უნდა იყოს. ერთი მხრივ, ალიევი და მეორე მხრივ, არ ვიცი, ვინ, პრემიერი თუ ბიძინა ივანიშვილი. ძალიან მაღალ დონეზე უნდა იყოს შეთანხმება.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ალიევი ემზადებოდეს მთიანი ყარაბაღის დასაბრუნებლად. ამაზე ყველაფერი მიანიშნებს, შეიარაღებას ზრდის, აზერბაიჯანის თავდაცვის დაფინანსება ძალიან მაღალია, ასევე მას ჰყავს ძლიერი რეალური პარტნიორი თურქეთი, რისი იმედიც აქვს და ა.შ.

ამ კრიზისის დროს ალიევს საქართველო დასჭირდება. დასჭირდება, როგორც მოკავშირე. ჩვენ სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ. მე არ გამოვრიცხავ, რომ აზერბაიჯანს ეს ტერიტორია, როგორც კოზირი, ისე ჰქონდეს და, როდესაც დასჭირდება, მაშინ აამოქმედოს. ამიტომ საჭიროა მაღალი დიპლომატიური კლასის ამოქმედება. ეს ტერიტორია აზერბაიჯანის ხელში პოლიტიკური იარაღია და, არა მგონია, ახლა შუა საუკუნეების ქრისტიანული ძეგლი აია სოფიას ტაძრის მსგავსად გამოაცხადოს.

***— ამბობენ, რომ ალბანური კულტურის ძეგლად უნდათ გამოაცხადონ.***

— ეს ძალიან სუსტი არგუმენტია. დავით გარეჯის ქართულ ფესვებსა და მის ქართულ, ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ისტორიაში ეჭვს ვერ შეიტანენ. მე მაინც მგონია, რომ როგორც პოლიტიკურ იარაღს, ისე ინახავენ და, როდესაც დასჭირდებათ, მაშინ აამოქმედებენ.

საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც მეზობლებთან არ აქვს საზღვარი დადგენილი, არც სომხეთთან, რუსეთთან რაც ხდება, გასაგებია, მაგრამ აზერბაიჯანთან მაინც უნდა დავადგინოთ, თუ მართლაც პარტნიორები და მეგობრები არიან.

# ხათუნა ლაგაზიძე: „საით მიდის ბიძინა ივანიშვილის საქართველო?!“

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკის დამოუკიდებელ ანალიტიკოსს ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.

— ქალბატონო ხათუნა, ფაქტია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ საშინაო პოლიტიკაში აშკარად დააჩქარა პროცესები. დაჩქარებულ რეჟიმში საქმიანობის პირობებში გადასული მმართველი გუნდი იმაზე მეტ შეცდომას უშვებს, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა.

— აშკარად შეიმჩნევა მმართველ გუნდსა და დანარჩენ ოპოზიციას შორის კონფრონტაცია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს საშინაო პოლიტიკაში არსებულ სურათს. გასაგებია, რომ ოპოზიციის ყველა ფრთის მიზანია 2020 წლის არჩევნებისთვის მმართველი გუნდი რაც შეიძლება მეტად დისკრედიტებულ მდგომარეობაში მყოფი აღმოჩნდეს, ხოლო „ოცნების“ მიზანია მაქსიმალურად მოახდინოს მისი ყველა შესაძლო ალტერნატივის დისკრედიტაცია და მარგინალიზაცია.

— ახლა, როცა საშინაო პოლიტიკაში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების აჩრდილი დამოკლეს მახვილივითაა გამოჩენილი, როგორ შეაფასებდით ერთი მხრივ მმართველი გუნდის, ხოლო მეორე მხრივ, ოპოზიციურ ფლანგზე სხვადასხვა ჯგუფების ქცევასა თუ მოქმედებას?

— თქვენივე კითხვაში ზუსტი დიაგნოზი დაუსვით დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის ქმედებებს — დიახ, დღეს ქართულ პოლიტიკაში გვაქვს ტოტალური ნეგატიური დღის წესრიგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება თვითიდენტიფიკაციას მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციით ახდენენ. საოცარი რამ ხდება დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში — აღარავინ ამტკიცებს, რომ მე იმაზე კარგი ვარ, არამედ — სხვა ჩემზე ცუდია. მერე უკვირთ საზოგადოების იმედგაცრუება.

— ცალკე თემაა „ოცნების“ ქმედებები და პოლიტიკური მომავლის მისეული ხედვა. იმის ნაცვლად, რომ 2020-ისთვის პარტნიორებს ეძებდეს კოალიციური მთავრობისთვის და ხელს თუ არ შეუწყობს, ნუ შეუშლის მაინც ახალი პოლიტიკური ჯგუფების ასპარეზზე გამოსვლას, პირიქით, საფუძველშივე ცდილობს ცელი გამოუსვას ყველას თუ ვინმემ დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტივობის სურვილი გამოთქვა.

ამის მაგალითია ის აგრესია, რომლითაც გაივსო სოციალური ქსელები და მედია დათო მაღრაძის „დაიცავი საქართველოს“ შეკრების შემდეგ. გეტყვით, რაზე დგას „ოცნების“ თვითდაჯერება — საზოგადოებაში ახალი, რესურსული ფიგურების მკვეთრი დეფიციტია, თუ ვინმე მაინც გაბედავს და გამოთქვამს პოლიტიკურ სარბიელზე შემოსვლის სურვილს, ხელისუფლების შავი პიარის მანქანა საფუძველშივე შეეცდება მათ დისკრედიტაცია-გაცამტვერებას.

ასევე ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ახალი თუ ძველი პოლიტიკური ჯგუფების მეტნაკლებად ანგარიშგასაწევი გაერთიანება არ გაჩნდეს 2020-ისთვის, ანუ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ოპოზიციურ ფლანგზე დაყოფისა და ბატონობისთვის. ამ ფონზე ისევ წამოწევს წინა პლანზე „ნაციონალების“ რევანშის საშიშროებას და მიზანიც მიღწეულია. ანუ იმუშავებს ზემოთ ხსენებული პრინციპით — სხვები ჩემზე უარესები არიან.

— მაგრამ, აქ მთავარ საკითხს ვაწყდებით — ვისით უნდა დაკომპლექტდეს თავად „ოცნების“ საპარლამენტო სია?! 100 პარლამენტარს შეიძლება იოლად გადაუგრიხო ხელები კობახიძის მიერ გატანილი კანონპროექტებისთვის ხმის მისაცემად, მაგრამ ამომრჩეველი როგორ გინდა აიძულო, კობახიძეს მისცეს ხმა, თუნდაც „მიშა-მგელი მოდის და შეგჭამს“ პრინციპით?!



— მთავარი საფიქრალი, რაც ბიძინა ივანიშვილს უნდა ჰქონდეს, არის თუ რა ერქმევა მის ეპოქას საქართველოს უახლოეს ისტორიაში? ზვიადმა — თავისუფლებასთან მიგვიყვანა, შევარდნაძემ — ქვეყანას საგარეო პოლიტიკური როლი განუსაზღვრა, მიშამ — ამბიცია, დინამიკა, ტურისტული მომხიბვლელობა შესძინა.

— რისკენ, საით მიდის ბიძინა ივანიშვილის საქართველო?! — თუ ივანიშვილი ამ კითხვაზე პასუხს გასცემს, მას 2020-შიც არ გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება

ის, რომ მიშას დამმარცხებელია, ქვეყანაში სტაბილურობაა და ჩამოთვლილი ლიდერებისგან განსხვავებით, მის დროს ქვეყანაში ომი არ ყოფილა, ვფიქრობ, მისი როლისთვის და მასშტაბისთვის ეს საკმარისი არ არის.

— რა დაერქმევა მის ეპოქას საქართველოს ისტორიაში — ეკონომიკური აღმავლობის, საგანმანათლებლო რევოლუციის, გეოსტრატეგიული ფუნქციის გაფართოების?! რისკენ, საით მიდის ბიძინა ივანიშვილის საქართველო?! — თუ ივანიშვილი ამ კითხვაზე პასუხს გასცემს, მას 2020-შიც არ გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება.

— ფართო მსჯელობის თემად იქცა პოლიტიკის დამოუკიდებელი ანალიტიკოსის ზაალ ანჯაფარიძის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „ოცნებას“ ყველა მხრიდან უტევენ არა მხოლოდ ოპონენტები, არამედ ყოფილი მხარდამჭერები და ე.წ. „შუაშისტებიც“ კი. მათი მიზანია „ქართული ოცნების“ საბოლოო დანგრევა, რისთვისაც მათ ერთი გზა დარჩათ — მმართველ გუნდში „ტროას ცხენის“ შეგზავნა. ზაალ ანჯაფარიძისვე თქმით, აქამდე ყველა ადგილობრივი მმართველი პარტია სწორედ „ტროას ცხენით“ დაინგრა.

— რად უნდა მმართველ გუნდს ნგრევა?! მე ასე დავსვამდი საკითხს — როდის იყო შექმნის დღიდან „ოცნება“ ერთიანი?! პირიქით, ის ყოველთვის აგებული იყო შიდა დაჯგუფებებს შორის ბალანსის და შეკავების პრინციპზე.

საქართველოში 30 წლის მანძილზე კონსტიტუციით აღიარებულ სახელისუფლო შტოთა შორის ბალანსის მიღწევა ვერ მოხერხდა, თორემ სახელისუფლო გუნდებში სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ბალანსის და შეკავების, ანუ დაყავი და იბატონეს პრინციპით მართვა წმიდათაწმინდა იყო შევარდნაძისთვისაც და სააკაშვილისთვისაც. დღესაც ასეა.

— პრობლემა „ოცნების“ დაშლა კი არა, „ოცნებიდან“ მეტ-ნაკლებად ცნობადი სახეების გასვლა და პულტთან მჯდომი „ვალოდია ჯინჭარაძეების“ დარჩენაა, რომელთა სახელებიც, ვგონებ, მეზობლებმაც კი არ იციან. ასე უსახური უმრავლესობა ჩვენ არ გვყოლია.

— როგორც კი შევარდნაძის ხელისუფლებაში ბალანსი სააკაშვილი-ჟვანიას სასარგებლოდ დაირღვა, შევარდნაძის ხელისუფლება დამთავრდა. ისევე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დასასრული მოახლოვდა, როგორც კი მერაბიშვილი-ადეიშვილი-ახალაია-კოდუებს და სხვა გავლენიან ჯგუფებს შორის ბალანსი დაირღვა. ამიტომაც, არც არასდროს მდგარა დღის წესრიგში „ოცნების“ ერთიანობა.

2016 წლის „ოცნების“ საპარლამენტო სიის შედგენა ხომ საერთოდ ნონსენსი იყო — თავად დეპუტატები ამბობენ, რომ 2016 წლის სიის შედგენისას მათთვის არავის უკითხავს რა იდეოლოგიის, რა საგარეო ორიენტაციის მომხრეები, რა ეკონომიკური ხედვების გამზიარებლები, რა ფასეულობების მატარებლები იყვნენ, ანუ არ არსებობდა ღერძი, რის გარშემოც ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ.

— ხელისუფლებას თუ შევხედავთ, აქ იოლად აღმოვაჩენთ კვლავ ბალანსის პოლიტიკას, რომელიც დღეს უკვე სამ საყრდენ ოფიციალურ ფიგურაზე — გახარიაზე, კალაძესა და ღარიბაშვილზე დგას. არის სხვა უფრო მცირე გავლენის ჯგუფებიც და სწორედ მათით აიგება „ოცნების“ საპარლამენტო სიაც.

— გასულ კვირას პანკისის ხეობაში განვითარებული პროცე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** — სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** — ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** — შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** — კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** — 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** — მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი ოპოზიციაში გადადის“

## მეგი გოცირიძე: „ფაროსანას საწამლავით ხალხი მოწამლეს“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება დასავლეთ საქართველოში, რატომ უნდა ივანიშვილს ზუგდიდის მერის არჩევნების მოგება, რა გადაიყოლებს „ოცნებას“, ვინ დაითვლის მაისში წიწილებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

**მეგი გოცირიძე:**

– ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში ვიყავი, იქ ნანახმა გამაოგნა და საშინელ ხასიათზე დამაყენა. აჭარას, გურიას და სამეგრელოს ფაროსანა ჰყავს შესეული. ეს სამი რეგიონი სრულად არის განადგურებული.

იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? თითქოს ტანკი იყო გატარებული. ტანკი რომ ანადგურებს ყველაფერს, ასეა სამივე რეგიონი ფაროსანისგან განადგურებული.

არადა ამ მოღალატეებმა უამრავი თანხები დახარჯეს იმის გასაპიარებლად, რომ მავნებელს ებრძოდნენ. იმის მაგივრად, რომ აზიური ფაროსანა შეეწამლათ, ადამიანები მოწამლეს.

***– ადამიანები როგორ მოწამლეს?***



– უხარისხო წამალი იქნა შემოტანილი, რომელმაც ფაროსანას ვერაფერი დააკლო. ეს წამალი ხალხს დაურიგეს და ნორმალურადაც კი არ აუხსნეს, როგორ უნდა მომხდარიყო მისი გამოყენება. რამდენიმე ადამიანი სერიოზულად მოიწამლა. სამაგიეროდ, ივანიშვილი გრძნობს თავს კარგად.

***– მოდით, ფაროსანას შევეშვათ და ის გვითხარით, ზუგდიდში რა ხდება?***

– რა ხდება და ხელისუფლება ტოტალური გაყალბებისთვის ემზადება. ხდება წარმოშობით ზუგდიდელი საჯარო მოხელეების ამ ქალაქში ჩაწერა. ეს საქმე თეა წულუკიანს აქვს დავალებული და ისიც სიხარულით ასრულებს ამ მისიას.

ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, ზუგდიდის მერის არჩევნები მოიგოს. ის ყველაფერს იკადრებს.

***– რატომ არის მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ამ არჩევნების მოგება?***

– ის ხომ სააკაშვილს ებრძვის და ამ არჩევნებით ჰგონია, რომ მიშას მოერევა. სასაცილოა ეს ყველაფერი. მოვა მაისი და ნახავთ, რაც მოუვა მოღალატეს.

***– ირაკლი კობახიძე, ამბობს რომ წინასწარ არაფერს იტყვიან და წიწილებს მაისში დაითვლიან.***

– ფრთხილად იყოს, წიწილები არსად გაეფანტოს. სხვა მის ადგილზე ხმასაც არ ამოიღებდა არჩევნებზე. ამას პირი დაუღია და წიწილებს დავითვლითო.

წიწილების დათვლამდე ოლიგარქის მსახურს ვურჩევ, პროცენტების დათვლა ისწავლოს. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურშიც გამოაცხადა შედეგები და მერე დარჩა გაბაიბურებული.

ეგ შარშან ზაფხულშიც იძახდა, წიწილებს შემოდგომაზე დავითვლითო, როგორც დაითვალეს, კარგად ნახეთ – მილიონი ამომრჩეველი წავიდა მათ წინააღმდეგ.

ახლა მთელი ძალები ზუგდიდში ჰყავთ გადასროლილი, მაგრამ აღარაფერი გამოუვათ. ირაკლი კობახიძეს კი ვურჩევ, რომ საჯარო განცხადებებისგან თავი შეიკავოს. სხვა თუ არაფერი, სირცხვილია, იყო ამ პარლამენტის თავმჯდომარე.



***– რატომ არის სირცხვილი?***

– იმიტომ, რომ ის, რასაც ეგ სპიკერობს, პარლამენტი არ არის. ეს არის რუსეთის გოსდუმის ფილიალი – ქოცდუმა.

იმდენ სისულელეს აკეთებენ, იმდენ დანაშაულს სჩადიან, რომ ამაზე აუცილებლად მოსთხოვს მათ ხალხი პასუხს. იმის წარმოდგენაც კი მეშინია, თუ როგორი იქნება ეს პასუხი.

ჩვენ იმის გვეშინია, ამათ დასრულებას ხალხმა ქვეყნის ინტერესებიც არ გადააყოლოს, როგორც ნაბან წყალს ბავშვი.

ქართველი ხალხი ბევრ რამეს მოითმენს – შიმშილს, სიცივეს, მაგრამ დამცირებას არავის აპატიებს. ეს ხელისუფლება კი ხალხის დამცირებაზე გადავიდა.

***– მეოცნებეები ამბობენ, ხალხს ღირსება დავუბრუნეთო.***

– ღირსების დაბრუნებაში რას გულისხმობენ, 1 ლარი და 18 თეთრი რომ გამოუყვეს 1 სულ ადამიანს – საკვებად საკმარისიაო.

***– თქვენ დროსაც 1.18 თეთრი არ იხარჯებოდა?***

– ასე იყო, მაგრამ ჩვენ დროს სხვა ფასები იყო. კომბოსტო 20 თეთრი ღირდა. ახლა 1.50 ღირს. უფასო სასადილოებში ბენეფიციარებს კომბოსტოს გარეშე უმზადებენ ბორშს. ეს არის ღირსების დაბრუნება?!

ან იქნება იმას ეძახიან ღირსების დაბრუნებას, რომ ბავშვები შიმშილით იხოცებიან. კარგი, მე ნაცი ვარ და ხალხს სიცრუეში ვაცხოვრებ, მაგრამ გაეროს დასკვნაზე რას გვეტყვიან? იქ პირდაპირ წერია, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილით იხოცებიან. ეს იმ ქვეყანაში ხდება, რომლის მმართველიც პლანეტის უმდიდრესი ადამიანია.

***– „ოცნება“ ამბობს, რომ ივანიშვილი არ არის ქვეყნის მმართველი.***

– აბა ვინ არის? მამუკა ბახტაძე თუ ირაკლი კობახიძე? ქვეყანას დაეპატრონა სვავი და, როგორც უნდა, ისე იქცევა. მტერი თბილისიდან 40 კილომეტრში კი არ არის, არამედ შუა თბილისში, სოლოლაკის მთაზეა წამოსკუპებული.

ადრეც გითხარით და გავიმეორებ, რომ 2012 წელს ნაციონალების დახმარებით გასულ მაჟორიტარებს ჩვენთვის რომ არ ეღალატათ, ივანიშვილი პარლამენტში უმრავლესობას ვერ აიღებდა.

ამ ადამიანს გარშემო ძირითადად სულ მოღალატეები ახვევია. მათ შორის ისინი, ვინც ბადრი პატარკაციშვილს უღალატა.

ბადრი პატარკაციშვილის ყველაზე დიდი მტერი იყო ივანიშვილი. შეგახსენებთ მის სიტყვებს – ამ ქვეყანაში ორი მილიარდერი მეტისმეტია და ბადრი დააძინეთ.

მე არაფერს არ ვამტკიცებ, ფაქტი ისაა, რომ პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ შეძლო მან ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

ახლა ყველაფერი მის ხელშია, მეშვიდე წელია, ხელისუფლებაშია და მაინც მიშას ოპოზიციად რჩება. მალე ოფიციალურად გადაინაცვლებს ოპოზიციაში. მისი და სხვა მოღალატეების ადგილი არის ციხეში, სადაც ძალიან მალე მოხვდებიან. ისინი ყველა დანაშაულისთვის აგებენ პასუხს.

## არასამთავრობოებსა და ოპოზიციას აშშ-ის კონგრესი შეცდომაში შეჰყავთ – მდინარაძე საქართველოს მთავრობისთვის სანქციების შესაძლო დაკისრებაზე

„ქართული ოცნების“ წევრი მამუკა მდინარაძე კონგრესმენების მოსაზრებას, რომ საქართველოში ბიზნესი თავისუფალი არ არის, არ იზიარებს. მისი აზრით, საერთაშორისო პარტნიორები არასამთავრობო ორგანიზაციების და ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან არასწორ ინფორმაციას იღებენ, რომელთაც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი შეცდომაში შეჰყავთ.



– საქართველოში ბიზნესი ნამდვილად თავისუფალია და როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორები, მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს გავიხსენებ, აღმოჩნდნენ უხერხულ მდგომარეობაში. ეს უხერხულობა გამოიწვია ჩვენი კოლეგების და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის არასწორმა ინფორმაციამ და ამ შემთხვევაში, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ჩასწორება მოხდა და ეს უხერხულობა, მე მგონია, რომ უნდა აიცილონ ხოლმე ჩვენმა კოლეგებმა საქართველოში და რამდენად უნდა მტრობდე შენს ქვეყანას, რომ არასწორი ინფორმაციები შენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მიაწოდო უცხოელ პარტნიორებს და მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს. ეს არის ცუდი და მეორე, მე ნამდვილად არ ველოდები, არ არის ისეთი მდგომარეობა და არ არის რეალობა ისეთი, რომ ჩვენმა მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა რაიმე სანქციებზე დაიწყონ ლაპარაკი, – განაცხადა მდინარაძემ.

## აჰმედ იმამკულიევი: „ხელისუფლებამ არც ერთი დანაპირები არ შეასრულა“



ადგილობრივ მოსახლეობას ხვდება „ევროპული საქართველოს“ მარნეულის მერობის კანდიდატი. აჰმედ იმამკულიევთან შეხვედრაზე სოფელ ყიზილაჯლოს მოსახლეობა რაიონში არსებულ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემაზე საუბრობს. სოფელს სასმელი, სარწყავი წყლის და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები აწუხებს. მერობის კანდიდატი ყიზილაჯლოს მცხოვრებლებს საარჩევნო პროგრამას აცნობს და აცხადებს რომ დღევანდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ევროპული საქართველოს“ ამოცანა მომავალზე ზრუნვა და პრობლემების მოგვარებაა.

მარნეულის მერობის კანდიდატ აჰმედ იმამკულიევის განცხადებით:

– სოფელ ყიზილაჯლოში შევხვდი ადგილობრივებს, სადაც გავეცანი მათ პრობლემებს. ჩვენ გავაცანით მოსახლეობას გეგმა, რა უნდა გავაკეთოთ მომავალში, რომ პრობლემები მოგვარდეს. ჩვენი უპირატესობა არის დღევანდელი ხელისუფლებისგან ის, რომ ჩვენ მომავალზე ვსაუბრობთ და არა წარსულზე. „ევროპული საქართველო“ ორიენტირებულები ვართ საქართველოს და მარნეულის მომავალზე, – განაცხადა აჰმედ იმამკულიევმა.

## ხათუნა ლაგაზიძე: „საით მიდის ბიძინა ივანიშვილის საქართველო?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სები ცალკე საუბრის თემაა, ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება ხეობის მოსახლეობაში ნდობის აღსადგენად, მაგრამ თუ ისევ მმართველ გუნდში არსებულ სიტუაციას დავუბრუნდებით, პანკისის თემა ამ საკითხშიც ფიგურირებს, თან საკმაოდ აქტიურადაც.

ბატონ გია ხუხაშვილის მტკიცებით – „პანკისის ხეობის ისტორია გიორგი გახარიას ჩაუდეს“. ამ პრობლემის შს მინისტრ გიორგი გახარიასთვის „ჩამდებად“ ხუხაშვილი „ოცნებაში“ დაბრუნებულ გიორგი ღარიბაშვილს ასახელებს.

– არ ვფლობ არანაირ ინფორმაციას, ვინ ვის რა „ჩაუდო,“ ამიტომაც ამ თემაზე ვრცლად ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ღარიბაშვილისთვის ეს პოლიტიკაში შემოსვლის მეორე შანსია, რომელსაც ის ძალიან უფრთხილდება და არ ვფიქრობ, რომ მას ამ მასშტაბის პროვოკაცია გაერისკა და დაეგეგმა.

– ჩვენ საუბარი შიდა პოლიტიკაში არსებულ ვითარებაზე მსჯელობით დავიწყეთ. იმაზეც ვთქვით, რომ პროცესები საკმაოდ დაჩქარებულადაც კი ვითარდება. რადგან საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ მმართველ გუნდში არსებულ ვითარებაზე, ახლა კარგი იქნება თუ ოპოზიციაზეც გავამახვილებთ ყურადღებას. თქვენი დაკვირვებით, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე და ამ ეტაპზე როგორ როგორ შეაფასებდით ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებს?

– „ოცნების“ იმედი 2020-ის არჩევნებზე მხოლოდ ოპოზიციის დაქსაქსულობაა და ის ყველანაირად ეცდება ამ დაქსაქსულობის გაღრმავებას არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

სანდრა რულოვსის განცხადებაც, რომ ზუგდიდის შტაბში განსაკუთრებული არაფერი ხდება და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად იქ ყველა ერთ საქმეს ემსახურება, ირიბად სწორედ იმას ადასტურებს, რომ „ოცნებამ“ მოახერხა ზუგდიდის საარჩევნო შტაბში უთანხმოების შეტანა.

რაც შეეხება საერთო ეროვნულ დონეს – ოპოზიციის ფლანგზე კარგა ხანია საინფორმაციო და პოლიტიკურ დღის წესრიგს ნიკა გვარამია ქმნის. შესაბამისად, ბრძოლის წინა ხაზზე ოპოზიციის ფაქტობრივი ლიდერის როლსაც ის ასრულებს. მზარდი პოლიტიკური ფიგურაა გიორგი ვაშაძეც, რომელიც აგროვებს საინტერესო საერთაშორისო გამოცდილებასაც და თანაც მართვის თანამედროვე, ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მეთოდებზე დამყარებული მწყობრი ხედვა აქვს.

თუმცა, „ნაციონალების“ როლსა და ადგილზე 2020-ის პარლამენტში არსებით გავლენას მოახდენს, რა თქმა უნდა, რამდენად შეძლებს სააკაშვილი უკრაინაში ტრიუმფით დაბრუნებას, რასაც ზელენსკის შტაბის განცხადებით გარკვეულწილად ცივი წყალი გადაესხა.

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ ასპარეზზე. აქაც მთავარი დაქსაქსულობის პრობლემაა. მაღრაძის „დაიცავი საქართველო“, ელისაშვილის „სამოქალაქო მოძრაობა“, ახალი თაობის განაცხადი ახალგაზრდა მემარცხენეების სახით, რომლებსაც მთაწმინდაზე თავის კანდიდატი ჰყავთ – გრიგოლ გეგელია და საინტერესო საარჩევნო კამპანიასაც აწარმოებენ, დავით ჭიჭინაძე, რომელმაც თავისი პოლიტიკური ძალის შექმნის სურვილი უკვე დააანონსა, ანა დოლიძე, რომლის გამოსვლასაც პოლიტიკაში ბევრი ელის – ეს არასრული ჩამონათვალია იმ პოლიტიკური ჯგუფების, რომლებიც 2020-ში საარჩევნო რბოლაში ჩართულები შეიძლება ვიხილოთ.

იმ ამომრჩეველს, რომელსაც „ოცნება“ კატეგორიულად აღარ უნდა, მაგრამ „ნაციონალების“ რევანშისაც ეშინია, სჭირდება ერთგვარი უსაფრთხოების ქოლგა, რომელიც მათ „ოცნების“ მარცხის შემთხვევაში „ნაციონალებისგან“ დაიცავს.

ხალხს პატარა პოლიტიკური ჯგუფები კი არ სჭირდება, არამედ ძლიერი ძალა, რომელიც მათ თავის გამარჯვების უნარიანობაშიც დაარწმუნებს და იმაშიც, რომ ამომრჩევლის დაცვის თავი და ძალა ექნება

ეს კი ძალიან მომხიბვლელი ნიშაა ნებისმიერი მესამე პოლიტიკური ძალისთვის. ამავდროულად, სწორედ ეს არის ის საცდური, 3%-იან ბარიერთან ერთად, რომელიც ბევრ ახალ ამბიციურ პოლიტიკურ ძალას კისერს მოატეხინებს ანუ პარლამენტს მიღმა დატოვებს.

ხალხს სოკოებივით ამოზრდილი, პატარა პოლიტიკური ჯგუფები კი არ სჭირდება, არამედ ძლიერი ძალა, რომელიც მათ თავის გამარჯვების უნარიანობაშიც დაარწმუნებს და იმაშიც, რომ ამომრჩევლის დაცვის თავი და ძალა ექნება. ჯერჯერობით ამ ჯგუფებს გაერთიანების სურვილს ვერ ვატყობ, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ მომავალ პარლამენტში ერთიანი სიით გასულ პოლიტიკურ ძალებს სხვადასხვა ფრაქციების შექმნის საშუალებას კანონმდებლობა აღარ აძლევს.

„ინტერპრესნიუსი“

## ქვეყნები, სადაც საქართველოდან მსხვილი საოჯახო ტექნიკა გადის

აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, პოლონეთი და ისრაელი – ეს ის ქვეყნებია, სადაც 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსხვილი საოჯახო ტექნიკა გავიდა – საერთო ჯამში 3.377 ერთეული.

„სტატისტიკის“ ეროვნული სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან სულ 3.774 ერთეული ტექნიკა გავიდა, 2019 წელს კი 3.377 ერთეული. ამასთან, გასულ წლის პირველ კვარტალში ტექნიკის რეექსპორტი განხორციელდა: არაბთა გაერთიანებულ საემიროებში – 72 ერთეული, სომხეთში – 580 ერთეული, აშშ -ში – 1 ერთეული, უკრაინაში – 1.701 ერთეული, ყაზახეთში – 298 ერთეული, უზბეკეთში – 210 ერთეული, აზერბაიჯანში – 1.345 ერთეული. რაც შეეხება 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებს, ასე გამოიყურება: პოლონეთში გავიდა 5 ერთეული კონდიციონერი, აზერბაიჯანში – 373 სარეცხი მანქანა, უკრაინაში – 464 გაზქურა და 483 სარეცხი მანქანა, სომხეთი – 4 გაზქურა და 980 ტელევიზორი, ისრაელში კი 1.068 ერთეული საოჯახო მაცივრის ექსპორტი განხორციელდა.

# სუსის მუშაობის გასაჯაროება დაუშვებელია

გულიკო ბალაძე



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილის განცხადებით, აგენტურულ საქმიანობასთან დაკავშირებით საქმის წარმოება 169 პირზე მიმდინარეობს. აქედან 37 კრიტიკულად მნიშვნელოვანია. რას ნიშნავს ეს? პარლამენტის წევრი და უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე **სიმონ ნოზაძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***— ბატონო სიმონ, სუსის უფროსის მოადგილემ პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ 169 ადამიანის მიმართ აღძრული არის საქმე და წარმოება მიმდინარეობს. მათ შორის, 37 კრიტიკულად მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, 37 ადამიანი მეტად მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ? საინტერესოა ვინ არიან ის პიროვნებები?***

— მე ვერ დავესწარი საკომიტეტო მოსმენას. 173-ე სკოლაში წავედი, რადგან შეპირებული ვიყავი, რომ ღონისძიებას დავესწრებოდი. თუმცა, არ შეიძლება ასეთი საქმეები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, რადგან ეს არის აგენტურული დამუშავება და, ალბათ, გრიფით მიმდინარეობს. თუ სასამართლოს გადაეცა, მერე ყველასთვის ცნობილი გახდება.

***— ამ შემთხვევაში გვარებს რომ თავი დავანებოთ, რა პროცესთან გვაქვს საქმე?***

— შეიძლება მათ შორის ისეთი პირების საქმეებია, სადაც იკვეთება გარკვეულ საერთაშორისო ქსელებთან თანამშრომლობა.

***— მაგალითად?***

— მაგალითად, ტერორიზმი, იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების ბრუნვა, რადიაქტიური ნივთიერებების ბრუნვა. შეიძლება მათ შორის, ისეთი საქმეებია, ჩვენი უსაფრთხოების ორგანოები უცხოელ კოლეგებთან ერთადაც მუშაობენ.

***— ნაციონალებს აინტერესებდათ, ამ ხნის განმავლობაში „ოცნებას“ ერთი ჯაშუში მაინც რატომ არ დაუჭერიაო?***

— ჯაშუში რომც დაიჭირონ, ამაზე აურზაურს არ გამოიწვევდნენ.

***— საქართველოს სუსს უცხო ქვეყნის ჯაშუშები რომ დაეჭირა, არ გაახმოვანებდნენ?***

— ეს არ არის ღიად გასაცხადებელი. პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხიც არის. ზოგჯერ მათ შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება გამართლებული არ არის. მეორე — მუშაობის ფორმებიც შეიცვალა. ახლა ტექნიკა ისეა განვითარებული, ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ყველას ნუ დავავალდებულებთ, ჯგუფ-ჯგუფად დაიჭირონ ჯაშუშები.

ბუნებრივია, კონტრდაზვერვა აქტიურად მუშაობს, მაგრამ ყოველწლიურად დაიჭირეთო, რომ დავავალდებულოთ, ასე არ ხდება. ადრეც არ ხდებოდა ასე. არც კომუნისტების დროს ხდებოდა ასე და არც — შემდეგ.

მიჭირს, 10-15 წლის წინ, ზოგიერთი გახმაურებული საქმეების ფიგურანტებს, ჯაშუში რომ დავარქვა. მიჭირს, ჯაშუშები დავარქვა, მაგალითად, ფოტოგრაფების საქმის ფიგურანტებს. ფოტოგრაფები რანაირი ჯაშუშები არიან. ამას მე ვერ გეტყვით. ისინი ჯაშუშები არ არიან.

***— თქვენ მაინც ხომ გექნებათ გარკვეული ინფორმაცია, დღეს სუსი როგორ მუშაობს.***

— არა, მე სხვა ინფორმაცია არ მაქვს, გარდა იმისა, რა ინფორმაციის მოწოდებაც ლეგალურად ხდება და ცნობილი ხდება პარლამენტისთვის.

***— ანუ ჩვენ ვერ ვგებულობთ, მაგრამ სუსი ჯაშუშების ნეიტრალიზაციაზე მუშაობს და ჯაშუშების გამოაშკარავება ხდება?***

— სუსი ნებისმიერ შემთხვევაში იმუშავებს. ისინი გრიფით მუშაობენ და ამის თაობაზე ინფორმაცია ღია არც შეიძლება იყოს და არ გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. შეიძლება ინფორმაცია პარლამენტის ნდობის ჯგუფს გააცნონ, მაგრამ ისინიც ვერ იტყვიან, რადგან საიდუმლო ინფორმაციაა.

***— იმ დროს, როდესაც თქვენ სუსის უფროსის მოადგილე ბრძანდებოდით, ამ მიმართულებით არ მუშაობდით?***

— ვმუშაობდით, მაგრამ მაშინ ძალიან მინიმალური ინფორმაცია გამოდიოდა გარეთ. მასმედიისთვის მინიმალური ინფორმაცია ხდებოდა ცნობილი. ინფორმაციას ჩვენ უშიშროების საბჭოს ვაწვდიდით. მაშინ საქართველოში ჯაშუშური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და ასეთი მაღალი თანამდებობის პირებმა იცოდნენ.

მსგავს ინფორმაციას მათ ვახსენებდით ხოლმე. არ შეიძლება ასეთი ინფორმაცია ყველასთვის ცნობილი გახდეს, რადგან ინფორმაციას შემდეგ შენი მოწინააღმდეგეც ეცნობა. რა თქმა უნდა, ვმუშაობდით.

***— ახლა მასმედია ყველაფერზე წერს, ყველაფერი აშკარაა. ფეისბუქზეც ყველა ყველაფერზე თავისუფლად წერს. თითქოს დამალული არაფერია. უცხოეთის ქვეყნებს, ჩვენს მტრულ ქვეყნებს, რა შეიძლება აინტერესებდეთ საქართველოში, რის გაგება უნდათ?***

— მოწინააღმდეგის პოლიტიკური სპექტრი აინტერესებთ, თავდაცვითი ძლიერება. უამრავი ინფორმაცია შეიძლება იწვევდეს მათ ინტერესს. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება რატომ არის. სახელმწიფო დაზვერვა აკონტროლებს, სახელმწიფო საიდუმლოებას როგორ იცავენ. როცა საგარეო პოლიტიკურ აქტივობებზეა ლაპარაკი, დახურულ კარს მიღმა შეხვედრებია, მოწინააღმდეგეს აინტერესებს, მეგობრებთან შეხვედრების შედეგები. ამდენად. უამრავი ინფორმაციაა, რომლითაც შეიძლება უცხოეთის სპეცსამსახურები დაინტერესდნენ.

***— საინტერესოა, საქართველოში ყველაზე მეტი ჯაშუში რომელმა ქვეყანამ შემოაგზავნა, ან ადგილზე გადაიბირა?***

— როცა მე უშიშროების მინისტრის მოადგილე ვიყავი, ასეთი რამდენიმე ფაქტი იყო, მაგრამ ჩვენ არ გაგვიხმაურებია, მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. ამის შესახებ იცოდა ქვეყნის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და მათთან შეთანხმებით არ გახმოვანდა.

***— დღეს ჯაშუშების ძალიან დიდი ციფრია წარმოდგენილი, რაც სუსის უფროსის მოადგილემ გვამცნო — 169 პირი ჯაშუშურ საქმიანობაშია დაჭერილი, აქედან 37 პირი კრიტიკულად მნიშვნელოვანია.***

— ყველა ჯაშუში არ იქნება.

# ნიკა ჩიტაძე: „ზურაბიშვილის გარეჯში ჩასვლა დაძაბულობას ვერ გამოიწვევდა“

იაგო ნაცვლიშვილი

პრობლემები შეიქმნა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, სადაც სადავო ტერიტორიებია და გარკვეულ მონაკვეთზე საზღვარი დადგენილი არ არის. საუბარია საზღვრის 34%-ზე. ამ ტერიტორიაზე საქართველოსთვის ისტორიულად, კულტურულად და რელიგიურად მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი დავით გარეჯი მდებარეობს. სასულიერო პირები და მომლოცველები დავით გარეჯში შესვლას რამდენიმე დღე ვერ ახერხებდნენ. 26 აპრილს გზა გაიხსნა, თუმცა აზერბაიჯანელი მესაზღვრეები „კურიერთან“ საუბარში ამბობენ, რომ ეს სააღდგომოდ მოხდა. 15 მაისიდან კი შესაძლოა გზა ისევ დაიკეტოს.

რამდენად სერიოზულია პრობლემა, საიდან იღებს სათავეს, რა შეიძლება იყოს მისი გამომწვევი და რაში მდგომარეობს გამოსავალი? — ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი, პროფესორი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

***— პრობლემები შეიქმნა დავით გარეჯთან დაკავშირებით საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ? რა პრობლემებიც შეიქმნა, ეს ვისი ან რისი ბრალია?***

— ამ პრობლემების ფესვები დევს საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების ქმედებებში. 1921 წელს, ანუ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რენეგატმა ხელისუფლებამ აზერბაიჯანის ხელისუფლებას დაუთმო მნიშვნელოვანი ტერიტორიები. აქ საუბარი არ არის მხოლოდ ისტორიულ მხარეზე, — საინგილოს, ზაქათალის, კახის და ბელაქნის რაიონებზე, არამედ დავით გარეჯის ნაწილიც მოექცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აქედან იწყება ეს პრობლემები.



სადავო მონაკვეთები ეხება დავით გარეჯი-ყარაიას მონაკვეთს, იქ რთულია ბოლომდე კოორდინატების დადგენა, რადგან უდაბნოა და ა. შ. აქედან გამომდინარე პრობლემაა საზღვართან დაკავშირებით, რომელიც თავს იჩენს დროდადრო. 2012 წლის გაზაფხულზე იჩინა თავი ამ პრობლემამ. მაშინაც ქართველ ბერებს არ უშვებდნენ სამლოცველოებში. დღესაც გამოჩნდა ეს პრობლემა.

***— რას უნდა დავუკავშიროთ დროდადრო ამ პრობლემების გამოჩენა? რაღაც კონკრეტულ ფაქტებს უკავშირდება თუ აზერბაიჯანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული?***

— მე პირადად მგონია, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება იმიტომ, რომ აზერბაიჯანმა ხაზი გაუსვას იმას, რომ ტერიტორია მათი კუთვნილებაა. აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, რაღაც დათმობებზე წავიდეს. ეს ტერიტორიები აღიარებული იყოს, როგორც მისი ტერიტორია. იცის აზერბაიჯანმა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტერიტორიები საქართველოსთვის. გააჩნია რელიგიური და ისტორიული დანიშნულება. მოიცავს სხვადასხვა ეკლესიასა და სამლოცველოს. ხაზს უსვამენ, რომ ეს არის აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილი. ჩემი აზრით, შეიძლება სარგებლობენ იმით, რომ საქართველო გარკვეულწილად დამოკიდებულია აზერბაიჯანზე. ვიცით, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ინვესტიციების მოცულობამ გადააჭარბა 3 მილიარდ დოლარს 2000 წლიდან დღემდე.

აზერბაიჯანი საკმაოდ მსხვილი ინვესტორია საქართველოში. პლუს გამოყოფილია თანხები ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტზე. ამაზე აზერბაიჯანმა 600 მილიონ დოლარზე მეტი კრედიტი გამოყო. პლუს აზერბაიჯანი შედარებით იაფად გვაძლევს ბუნებრივ აირს.

შესაძლოა, აზერბაიჯანში უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ახალქალაქში სომეხი სამხედრო პირის ძეგლი დაიდგა. თუმცა, იმის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი შედგა აზერბაიჯანში.

***— სალომე ზურაბიშვილის ვიზიტს უკავშირებენ დაძაბულობას, ეს საბაბი რამდენად რეალურია, რომ პრეზიდენტის ვიზიტს გამოეწვია ეს დაძაბულობა?***

— არა მგონია. ვიზიტის დროს რაღაცა ისეთი განცხადება არ გაუკეთებია, რასაც შეიძლებოდა დაძაბულობა გამოეწვია. მეტსაც გეტყვით — სომხეთში მან გარკვეული უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ ყარაბაღის ე. წ. დელეგაცია სტუმრობს აფხაზეთს. თითქოს სომხეთმა უნდა ითამაშოს გარკვეული როლი იმაში, რომ ყარაბაღის დელეგაციები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არ სტუმრობდნენ. პირიქით, ამას აზერბაიჯანის კმაყოფილება უნდა გამოეწვია.

გარკვეულწილად ამ ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გატაცებაც. ვერ უთხრა ჩვენმა ხელისუფლებამ მათ უარი.



***— ანუ რა გამოდის? ეკონომიკურ და დიპლომატიურ ბერკეტებს იყენებს აზერბაიჯანი საქართველოს წინააღმდეგ?***

— არ არის გამორიცხული. უფრო არა დიპლომატიურს, არამედ ეკონომიკურს. ეს დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ.

***— პრეზიდენტის ვიზიტს დავით გარეჯში შეეძლო გავლენის მოხდენა? „რუსთავი 2“-თან საუბარში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები საუბრობენ, რომ ამ ვიზიტს უკავშირდება. თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რას.***

— დავით გარეჯის იმ ტერიტორიაზე იყო პრეზიდენტი ჩასული, რომელიც საქართველოს მხარეს არის. სასაზღვრო ზოლში არ ყოფილა ჩასული და მთავარ სამონასტრო კომპლექსში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, მე მგონია, რომ შესაძლოა ნაწილობრივ დავუკავშიროთ, მაგრამ ის იქ არ ყოფილა ჩასული, სადაც მესაზღვრეებმა ჩაკეტეს გზა. მე მაინც მგონია, რომ თავი და თავი კომუნისტური ხელისუფლების პერიოდიდან მოდის.

***— რა ბერკეტი შეიძლება ჰქონდეს ქართულ მხარეს ვითარების დასარეგულირებლად?***

— პირველ რიგში, მტკიცე პოზიცია უნდა დაფიქსირდეს საზღვრის დადგენის პროცესში. აუცილებელია კომისიამ იმუშაოს. ეს უნდა შედგებოდეს დიპლომატებისგანაც, მაგრამ მასში ჩართულები სხვა უწყებების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ. მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე კარტოგრაფების ჯგუფი, რათა დაადგინონ კონკრეტული გეოგრაფიული კოორდინატები — სად გადის ზღვარი. ალბათ ისტორიკოსებიც უნდა ჩაერთონ და დაამტკიცონ, რომ ეს არის ისტორიულად ქართული ძეგლი.

თუ საქართველოს მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ მონასტრის ნაწილი საქართველოს ეკუთვნის, მაშინ იმის შესახებ მაინც უნდა იყოს მიღწეული შეთანხმება, რომ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდეს ქართველი ბერებისა და მომლოცველების შესვლა ტერიტორიაზე.

## კობა გვენეტაძე: „მთავარი პრინციპი, რომ სესხი გაიცეს მხოლოდ გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე, არ შეიცვლება“

რეგულაციები კი არ ზღუდავს, არამედ აჯანსაღებს სისტემას — ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

— ფიზიკური პირების დაკრედიტებისას პასუხისმგებლიანი მიდგომების დანერგვის პირველი შედეგები ლარის დაბალპროცენტიანი იპოთეკური სესხების შეთავაზებები იყო. დღეს უკვე ახალი პროდუქტები გამოჩნდა ბაზარზე — „სესხი რეპეტიტორებს“, ასევე სპეციალური, გამარტივებული შეთავაზებები ემიგრანტებისთვის ბინის შესაძენად ან მათთვის, ვინც საქართველოშია, მაგრამ საზღვარგარეთიდან გზავნილებს იღებს.



ეს არის იმის თვალსაჩინო მაგალითები, რომ რეგულაციები კი არ ზღუდავს, არამედ აჯანსაღებს სისტემას და გადახდისუნარიანი მომხმარებლებისათვის ახალ, გაუმჯობესებულ შესაძლებლობებს აჩენს.

ვფიქრობ, რეგულაციის დადებითი ეფექტები საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, რეგულაციაში ტექნიკური ცვლილებები არ შეიძლება შევიდეს. თუმცა, რეგულაციის მთავარი პრინციპი, რომ სესხი გაიცეს მხოლოდ გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე, არ შეიცვლება, — წერს გვენეტაძე.

# ევროპაში მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება გამკაცრდება?

## რა ბედი ელის საქართველოს ვიზალიბერალიზაციას

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დღეებში ისევ აქტუალურია საქართველოს ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერების საკითხი. მმართველ პარტიაში პრობლემას ვერ ჩქმალავენ, თუმცა, აცხადებენ, რომ არსებული საფრთხე კრიტიკულ ნიშნულზე ჯერ არ დასულა. საქართველო აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა კი საგანგაშო გახდა. დასავლელი პოლიტიკოსები ასკვნიან, ამის მიზეზია სიდუხჭირე და უმუშევრობა, ასევე – კანონის უზენაესობის შესუსტება.

ევროპა იღებს ზომებს მიგრაციის ტალღების, თავშესაფრის მაძიებელი პირების, არალეგალების შესაკავებლად. მიგრანტების მიმართ დამოკიდებულება გამკაცრდება ახალი ევროპარლამენტის არჩევის შემდეგ.

მიგრაციული პოლიტიკის მიხედვით, პირობას დებენ არა მხოლოდ პოპულისტები და რადიკალი მემარჯვენეები, არამედ ზომიერი პოლიტიკოსებიც.

ევროპარლამენტის არჩევის შემდეგ დაკომპლექტდება ევროკომისია. ევროკომისიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია გერმანელი ევროდეპუტატი მანფრედ ვებერი. იგი აცხადებს, რომ მიგრაციასთან ბრძოლაში უფრო რადიკალური ზომებია მისაღები.

– თუ მიგრაციის კონტროლი გვინდა, პირველ რიგში, გასაძლიერებელია საზღვრები. დღეს ევროკავშირის წევრები მზად არიან მხოლოდ იმისთვის, რომ გაზარდონ „ფრონტექსის“ სასაზღვრო სამსახურის შტატი 10 ათასამდე. ამ გეგმით, ეროვნული საზღვრების დაცვაზე გამოყოფილია 8 წელი. თუ ევროკომისიის თავმჯდომარე გავხდი, დავაჩქარებ ამ პროცესს და უზრუნველვყოფ ევროპის საზღვრის დაცვას 2022 წლისთვის, – ამბობს ვებერი.



იგი პირობას იძლევა, რომ მიგრაციას ევროკავშირის შიგნითაც შეაკავებს. ამისათვის აუცილებელია თანხების მიმართვა ევროპის იმ რეგიონებისკენ, რომლებიც ამას საჭიროებენ.

საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის. ამიტომ, ეს თანხები თბილისისკენ მომართული არ იქნება. თუ ევროპაში საქართველოსა და მისი მოქალაქეების მიმართ კრიტიკა გაძლიერდა, ვიზალიბერალიზაციის დაკარგვის საშიშროება აშკარა ხდება.

საქართველოს მიმართ ევროსტრუქტურები მეტ-ნაკლებად შემწყნარებლები არიან გეოპოლიტიკური ასპექტებიდან გამომდინარე.

ევროპას არ უნდა, რომ საქართველო, ისევე, როგორც ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, იყოს რუსული აგრესიისა და გავლენის ობიექტი. ახლანდელმა ევროპარლამენტმა გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის გაზსადენის მიმართ, რაზეც კრემლი დიდ იმედებს ამყარებს.

მანფრედ ვებერი არჩევის შემთხვევაში ამ პროექტის დაბლოკვას აპირებს.

გრძელდება პროგნოზები იმაზე, რომ მომავალ ევროპარლამენტში რადიკალი ნაციონალისტები და კონსერვატორები დიდ წარმატებას მიაღწევენ. ითვლება, რომ ამ მიმართულების პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ ევროკავშირის დანგრევა. გამოკვეთილად ევროკავშირის დაშლას მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მოითხოვს. სხვებს მისი რეფორმირება უნდათ.

ევროპარლამენტის არჩევნების წინ ულტრანაციონალისტების რეიტინგები გაზრდილია.

მაგალითად, საფრანგეთში მარინ ლე პენის „ეროვნულ გაერთიანებას“ 23% უჭერს მხარს; იტალიაში მატეო სალვინის „ლიგას“ – 33%-ზე მეტი; პოლონეთში იაროსლავ კაჩინსკის „კანონსა და სამართლიანობას“ – 42%, ავსტრიაში „თავისუფლების პარტიას“ – 24%.

ნაციონალისტები გაძლიერდნენ ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებშიც. ლატვიელი ამომრჩეველი გააკეთებს არჩევანს „ახალ ერთობასა“ და „თანხმობას“ შორის. პირველი მათგანი აცხადებს, რომ პატრიოტიზმს წვრილმანი ნაციონალიზმისგან არჩევს, მეორე კი ნაციონალისტებთან ბრძოლას გეგმავს.

მემარჯვენე პარტიებს ევროპარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ. ეს იმას მოასწავებს, რომ ევროპაში მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ახალი მტკიცე რეგულაციებია მოსალოდნელი.

ეს საქართველოს მოქალაქეებსაც შეეხებათ.

## რა ღირს 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს სტანდარტული ნომერი საქართველოში



2019 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველოში 5-ვარსკვლავიან სასტუმროში სტანდარტული ნომრის საშუალო ფასმა 486 ლარი შეადგინა. PMCGResearch-ის კვლევის მიხედვით, თბილისში სტანდარტული ნომრის ფასი 599 ლარს შეადგენს, აჭარაში – 471 ლარი, სამცხე-ჯავახეთში – 385 ლარი, კახეთში კი – 355 ლარია.

რაც შეეხება ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს სტანდარტული ნომრის ფასს, ის 227 ლარს შეადგენს, სამვარსკვლავიანი სასტუმროს სტანდარტული ნომრის ფასი კი საშუალოდ 125 ლარის ტოლია.

PMCG-ის სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, 1.1%-ით გაიზარდა, რაც უმეტესწილად განაპირობა საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდამ. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, 2018 წლის მარტთან შედარებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის ტურისტული ვიზიტების რიცხვი 4.3%-ით გაიზარდა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებული სასტუმროების და სხვა ტიპის განთავსების ობიექტების (სასტუმრო სახლი და სხვა) ნომრების საშუალო რაოდენობა ძირითადად 20-ზე ნაკლებია. 21 და მეტი ნომერი ქვეყანაში მხოლოდ 403 სასტუმროშია. მათგან 128 აჭარაში, 123 კი თბილისშია რეგისტრირებული. სულ საქართველოს სასტუმროებში და სხვა ტიპის დაწესებულებებში 35,325 ნომერია, ამ ნომრებში საწოლების საერთო რაოდენობა კი 86,772-ს შეადგენს. შესაბამისად სრული დატვირთვის შემთხვევაში სწორედ ამდენი ვიზიტორის მიღება შეუძლია საქართველოს ტურისტულ სექტორს ერთდროულად.

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მომდევნო წლებში საქართველოს კიდევ არაერთი 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო შეემატება. მათ შორისაა ბათუმის LeMeridien (110 ნომერი, დასრულება 2019 წელს), თბილისის Hilton Garden Inn (165 ნომერი, დასრულება 2019 წელს), თბილისის Radisson Park Inn (200 ნომერი, დასრულება 2019 წელს), თბილისის Pullman Hotels & Resorts (226 ნომერი, დასრულება 2019), თბილისის Marriott Autograph Collection (220 ნომერი, დასრულება 2019 წელს).

**BMG**

## რას ვყიდულობთ ყველაზე დიდი რაოდენობით



2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 807.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 826 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი 1 981.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 150.4 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 7.6 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობის აირები 131.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრანტები 120.2 მლნ აშშ დოლარით. მე-4 და მე-5 პოზიციებს კი მსუბუქი ავტომობილები და დაფასოებული მედიკამენტები ინაწილებენ, შესაბამისად, 119.1 და 89.4 მლნ დოლარებით.

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქტების ათეულში მოხვდნენ ასევე: სატელეფონო აპარატები, ელექტროენერგია, ხორბალი და მესლინი, რეზინის პნევმატური სალტეები და ახალი საბურავები და სიგარები, სიგარილები და სიგარეტები.

**BPN**

## საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს წევრობის სურვილი 100-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს წევრობის სურვილი 100-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა, – ამის შესახებ „ინტერპრენსიუსს“ „საპენსიო სააგენტოში“ განუცხადეს.

როგორც სააგენტოში განმარტავენ, განაცხადების მიღება უკვე დასრულდა. ვაკანსია კი 100-ზე მეტმა ადამიანმა შეავსო.

– საინვესტიციო საბჭოს წევრობაზე განაცხადების მიღება დასრულდა. საბჭოს შესარჩევი კომისია უახლოეს დღეებში შეიკრიბება და აპლიკაციებს განიხილავს. საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული ვაკანსია 100-ზე მეტმა ადამიანმა შეავსო, როგორც საქართველოდან, ისე – უცხოეთიდან, – განმარტავენ სააგენტოში.



ცნობისთვის, საინვესტიციო საბჭოს შესარჩევი კომისია შვიდი წევრისგან შედგება. შეარჩევს კანდიდატებს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საინვესტიციო საბჭოს ხუთ წევრს, რის შემდეგაც დამტკიცდება უფროსი საინვესტიციო ოფიცერი. საინვესტიციო საბჭოს სამი წევრი აირჩევა ხუთი წლის ვადით, ხოლო ორი წევრის ვადა კი სამ წელს შეადგენს. ასევე პარალელურ რეჟიმში დაკომპლექტდება რისკის კომიტეტი, რომელიც სამი წევრისგან შედგება.

საინვესტიციო საბჭოს შესარჩევი კომისიის წევრები არიან: აკაკი ზოიძე, ირაკლი კოვზანაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიორგი ქობულია, ივანე მაჭავარიანი, დავით სერგეენკო, ზურაბ ლალაზაშვილი.

შეგახსენებთ, რომ საპენსიო ფონდში 175 მილიონ ლარზე მეტია აკუმულირებული.

## პანკისში 4 ჰესის ამუშავებისას მდინარეში, შესაძლოა, წყალი აღარ დარჩეს

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, არაა შეფასებული, რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს პანკისის ხეობაში 4 ჰესის ერთობლივად არსებობას, – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) იურისტმა ეთო გვრიტიშვილმა პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობის კომენტირებისას განუცხადა.

იურისტის თქმით, პანკისის ხეობაში ახალი ჰესის მშენებლობის პარალელურად შეფასებული არაა, რა ზეგავლენა იქნება ალაზნის ზედა წელსა და მის შენაკადებზე 4 ჰესის ერთობლივად არსებობის შემთხვევაში. მისივე თქმით, ექსპერტები კი მიუთითებენ, რომ შედეგად შესაძლოა, მდინარის ბუნებრივ კალაპოტში წყალი სართოდ აღარ დარჩეს.

– კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, არაა შეფასებული, რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს პანკისის ხეობაში 4 ჰესის: „ხადორი 1“, „ხადორი 2“, „ხადორი 3“ და „სამყურისწყალი 2“-ის ერთობლივად არსებობას. ამ ოთხი ჰესის ერთობლივი მუშაობით შესაძლოა, მივიღოთ მოცემულობა, რომ მდინარის მთელი რესურსები ჰესების მიერ იქნას გამოყენებული და მდინარის ბუნებრივ კალაპოტში წყალი აღარ დარჩეს, – განაცხადა გვრიტიშვილმა.

მისივე თქმით, სწორედ სასმელი წყალია ერთ-ერთი საკითხი, რაც „ხადორი 3“-თან დაკავშირებით მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს, რამდენადაც 4 კილომეტრის მანძილზე ალაზნის 90% მილებში მოექცევა.

იურისტი სასამართლო დავებზეც საუბრობს, რომელსაც EMS ადგილობრივი მოსახლეობის სახელით აწარმოებს. დავა სწორედ იმ ჰესებს – „ხადორი 3“-ს და „სამყურისწყალი 2“-ს ეხება, რომელთა მშენებლობასაც პანკისში მოსახლეობასა და სამართალდამცავებს შორის დაპირისპირება მოჰყვა, ორივე ჰესის ინვესტორი კომპანია კი, შპს „ფერი“ და მისი შვილობილი „ალაზანი ენერჯი“ არიან.

– EMS ადგილობრივი მოსახლეობის სახელით 4 სასამართლო დავას აწარმოებს პანკისში დაგეგმილ ორ ჰესთან „ხადორი 3“-თან და „სამყურისწყალი 2“-თან დაკავშირებით. დავები გასული წლის ზაფხულში დავიწყეთ, თუმცა ჯერჯერობით არსებითი განხილვა არ მომხდარა და ჭიანურდება ეს პროცესები. ამასთან, სასამართლო არ ითვალისწინებს ჩვენს შუამდგომლობას ჰესის მშენებლობის შეჩერების შესახებ, ამიტომ ფაქტობრივად, სასამართლოში მიმართვას აზრი ეკარგება, – განმარტავს იურისტი.

კითხვაზე, თუ რატომ გამწვავდა მდგომარეობა პანკისში, მესამე სექტორის წარმომადგენელი პასუხობს, რომ ხეობაში კრიზისული სიტუაცია პროცესში შსს-ს ჩართულობამ განაპირობა.

– პანკისში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მოლაპარაკებებში რატომღაც ჩართული იყო შსს. მოსახლეობის წინააღმდეგობას ჰესების წინააღმდეგ იწვევს ზეწოლა, რომელსაც სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდით ახდენს. გარემოს დაცვის სამინისტროს დაპირებიდან გამომდინარე პანკისის მოსახლეობას ჰქონდა მოლოდინი, რომ მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა. ამის ნაცვლად ადგილობრივებისთვის სრულიად მოულოდნელად, სამშენებლო ტექნიკა და პოლიცია გამოჩნდა, რამაც პანკისში კრიზისული სიტუაცია შექმნა. მსგავსად, სვანეთშიც სპეცრაზმის ჩარევამ გაამწვავა სიტუაცია გასულ წელს, თუმცა როგორც ჩანს, სახელმწიფო საკუთარ გამოცდილებაზეც ვერ სწავლობს. თუ ამგვარი გაუაზრებელი მოქმედებები იქნება სხვა რეგიონებში, იგივე სიტუაცია შეიქმნება, – აცხადებს იურისტი.



# საქართველოში ინვესტიციები 2009 წლის დონეზეა



2018 წელს საქართველოში 1.2 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი) შემოვიდა. ეს არის ბოლო 5 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.

მეტიც, 2014-2017 წლებში საშუალოდ ნახევარი მილიარდი დოლარით მეტი ინვესტიცია შემოდიოდა, ვიდრე გასულ წელს შემოვიდა. 2017 წელთან შედარებით კლება 662 მლნ დოლარი, პროცენტულად კი 35%-ია.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც ღარიბი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის უცხოურ ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს. უცხოურ ინვესტიციას ფულთან და სამუშაო ადგილებთან ერთად ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები შემოაქვს ქვეყანაში და მის ცნობადობას ზრდის. ამასთან, უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ინვესტიცია (წარმოების დაწყებაში, გაფართოებაში ფულის ჩადება) დანაზოგების შედეგია. საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას.

ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, გამართული სამართლებრივი სისტემა, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან/და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვა.

დღევანდელი მეთოდოლოგიით (რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს) პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა აუცილებელი არ არის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად ითვლება სესხებიც, თუ ვალდებულებით საწარმოს აქტივები იტვირთება. ძირითადად, პირდაპირი ინვესტიცია ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოებას უკავშირდება. ეს კი პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ეკონომიკის, იგივე მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა კი სწორედ პროდუქციის წარმოების ზრდით მიიღება.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გასული წლების ინვესტიციების მაჩვენებლები დააზუსტა და გამოვიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ნომინალურ გამოსახულებაში ყველაზე მეტი ინვესტიცია – 1.9 მილიარდი დოლარი 2017 წელს შემოვიდა. მანამდე მაქსიმუმი 2007 წელს ფიქსირდებოდა – 1.8 მილიარდი დოლარი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნომინალურ რიცხვებში გამოსახული ინვესტიციების მოცულობა სრულად არ გვეუბნება, ბევრია თუ ცოტა. მაგალითად, საქართველოსთვის 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ძალიან ბევრია, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, მაგალითად, გერმანიისთვის კი თითქმის არაფერია – ეკონომიკურ კრიზისს ვერ გადაურჩება. ამიტომ ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ უნდა ვნახოთ. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტი ინვესტიცია სჭირდება ზრდისა და განვითარებისთვის. ამ მხრივ, 2007 წელი ყველაზე წარმატებული იყო. პუი-მა მშპ-ის 17.2% შეადგინა. ბოლო 10 წელიწადში, ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2009 წელს გვქონდა, მშპ-ის 6.2%. 2009 წელს მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი იყო და ინვესტიციები მკვეთრად დაეცა. რთული იყო კრიზისის მომდევნო წლებიც.

2018 წელს არც საქართველოში, არც ჩვენს რეგიონში და, მით უმეტეს, მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი არ ყოფილა, მაგრამ პუი მშპ-ის 7.6%-მდე შემცირდა, როცა 2014-2017 წლებში საშუალოდ 11.6% იყო. ბოლო 5 წელია, ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდას ლარის კურსის დაცემა უწყობს ხელს, რადგან დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ინვესტიციების მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელი გაიზარდა. მაგალითად, 2013 წლის ლარის დოლარის მიმართ გაცვლითი კურსით – 1.67-ით, 2018 წელს პუი მშპ-ის მიმართ 5% იქნებოდა. უფრო ნაკლები, ვიდრე 2009 წელს.

საინტერესოა, რომელ სექტორებში და რომელი ქვეყნებიდან შემცირდა ყველაზე მეტად პუი 2018 წელს. ყველაზე დიდი კლება – $263-მილიონიანი (56%-იანი) ტრანსპორტის სექტორში იყო. შემდეგ მოდის მშენებლობა 179 მლნ დოლარით (63%-ით) და უძრავი ქონება 92 მლნ დოლარით (51%-ით). 67 მლნ დოლარით (30%-ით) შემცირდა ინვესტიციები ენერგეტიკაში. მნიშვნელოვანი ზრდა მხოლოდ დამმუშავებელ მრეწველობაში იყო, სადაც 2018 წელს 44 მლნ დოლარით მეტი პუი შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს.

2018 წელს ყველაზე მეტი პუი საფინანსო სექტორში შემოვიდა – 278 მლნ დოლარი, თუმცა 2017 წელთან შედარებით აქაც შემცირებაა 25 მლნ დოლარით. მეორე ადგილზე ტრანსპორტია 210 მლნ დოლარით, მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორში ინვესტიციები ყველაზე მეტად შემცირდა. მესამე ადგილზე ენერგეტიკაა 157 მლნ დოლარით. ყველაზე ცოტა ინვესტიცია კავშირგაბმულობაში შემოვიდა და შედეგად, ამ სექტორში ინვესტიციებმა ზრდის ნაცვლად მოიკლო 35 მლნ დოლარით. 13 მლნ დოლარი შემოვიდა ჯანდაცვაში, ხოლო 16 მლნ დოლარი – სოფლის მეურნეობაში. ეს ორი სექტორი ტრადიციულად ნაკლებად იზიდავს ინვესტიციებს.

ქვეყნების მიხედვით, ინვესტიციები ყველაზე მეტად თურქეთიდან შემცირდა – 299 მლნ დოლარით. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 225 მლნ დოლარით და ნიდერლანდები 189 მლნ დოლარით. მნიშვნელოვანი კლება იყო კვიპროსიდან და ჩეხეთიდანაც. ზრდით კი გერმანია იყო გამორჩეული, საიდანაც 2018 წელს 137 მლნ დოლარით მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2017 წელს. 40 მლნ დოლარით გაიზარდა ლატვიიდან და 27-27 მლნ დოლარით მალტიდან და სამხრეთ კორეიდან.

მიუხედავად მნიშვნელოვანი კლებისა, 2018 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანიდან შემოვიდა – 240 მლნ დოლარი. მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფოა 204 მლნ დოლარით. 100 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან და აშშ-დანაც.

საქართველოს მთავრობის წევრებმა ინვესტიციების შემცირების ძირითად მიზეზებად მაგისტრალური გაზსადენის, „შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობის დასრულება და რამდენიმე უცხოური საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლა დაასახელეს. გაზსადენის მშენებლობა ტრანსპორტის სექტორს მიეკუთვნება და სწორედ ამან გამოიწვია ტრანსპორტის სექტორის $263-მილიონიანი კლება. გაზსადენის პროექტში ინვესტორები თურქეთი, აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო იყო, რადგან გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანის გაზს თურქეთს მიაწვდის, „BP“ აშენებს. 2014-2017 წლებში ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თუმცა, როდესაც ამ პროექტის გამო 2014-2017 წლებში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, საქართველოს მთავრობის წევრები ინვესტიციების მატებაზე საუბრისას „შაჰდენიზზე“ არ მიანიშნებდნენ და სხვა გარემოებებით ხსნიდნენ მატებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრანსპორტის შემდეგ პუი ყველაზე მეტად მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორში, უძრავ ქონებაში შემცირდა. ეს ლოგიკურია, რადგან 2018 წელს საქართველოს ეკონომიკის სამშენებლო სექტორი 3%-ით შემცირდა, რაც სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებამ, სამშენებლო ნებართვების გაცემის შემცირებამ და იპოთეკური სესხების შეზღუდვამ განაპირობა.

გასულ თვეში „ბიზნეს მედია საქართველომ“ გაავრცელა იმ ტოპ 10 კომპანიის სია, რომლებმაც 2018 წელს საქართველოში ყველაზე მეტი პუი განახორციელეს. ესენია:

აიდიეს ბორჯომი საქართველო – დამმუშავებელი მრეწველობა

შპს მაგთიკომი – კავშირგაბმულობა

BP ჯგუფი – ტრანსპორტი

სს ენერგო-პრო ჯორჯია – ენერგეტიკა

სს RMG Copper – სამთომოპოვებითი მრეწველობა

შპს ჯორჯიან მანგანეზი– დამმუშავებელი მრეწველობა

შპს აჭარისწყალი ჯორჯია – ენერგეტიკა

ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი – მშენებლობა

შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი – სასტუმროები

სს ნენსკრა ჰიდრო – ენერგეტიკა

უკვე 2019 წელია, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რამდენი ინვესტიცია შემოვიდა პირველ კვარტალში, ამას ივნისში გავიგებთ. თუმცა ცხადია, რომ ინვესტიციების მატების კუთხით სერიოზული გამოწვევის წინაშე ვართ, თუნდაც 2017 წლის მონაცემებს რომ დაუბრუნდეს. ეს იმ ფონზე, როდესაც ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტის – ანაკლიის პორტის მშენებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პორტის მშენებლობის შეჩერება 2019-2020 წლებში საქართველოს მინიმუმ 500 მლნ დოლარის ინვესტიციას დააკარგვინებს. ამას ემატება „თიბისი ბანკზე“ ზეწოლაც და სხვა ბიზნესმენების „ალაპარაკება“ მთავრობის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებაზე. რაც პოზიტიურია, ის არის, რომ საკრედიტო სააგენტო „ფიტჩმა“ საქართველოს რეიტინგი „BB-“-დან „BB“-მდე გაზარდა. ამ ცვლილებამ ფაქტობრივად დაასწრო „თიბისი ბანკისა“ და ანაკლიის პორტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, თორემ ნაკლებად სავარაუდო იყო, ეს წინსვლა მიგვეღო.

2018 წელს ინვესტიციების 35%-იანი კლების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 4.7%-ით გაიზარდა, რადგან ეკონომიკის ზრდა დიდწილად ტურიზმისა და პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვნად ზრდამ განაპირობა. ასევე, 2017 წელს იყო პუი-ის მნიშვნელოვანი მატება, რამაც გავლენა 2018 წელზეც იქონია. მიმდინარე წელი ტურიზმისა და ექსპორტის დაბალი ზრდით დაიწყო და ნაკლებად სავარაუდოა, 2018 წლის ტემპს მიაღწიოს. შესაბამისად, ინვესტიციების გავლენა უფრო მნიშვნელოვანი იქნება და მისი მოცულობის ზრდის გარეშე, თუნდაც გასული წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის – 4.7%-ის მიღწევა ძალიან გაჭირდება. ეს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შენელებას ნიშნავს.

**forbes.ge**

# მაია მელიქიძე: „განახლებადი ენერგიების არსებობა ქვეყნის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა“

– საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა წყლისა და ხმელეთის შეფარდებით. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს რესურსი. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მზისა და ქარის ენერგია. ნებისმიერ პროცესს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. რა თქმა უნდა, იქნება ნაკლოვანებებიც, თუმცა უნდა გადავწყვიტოთ, რას ვაკეთებთ, ვმართავთ ნაკლოვანებებს თუ ვიყენებთ მას შანტაჟისთვის? – აღნიშნა რადიო კომერსანტთან მაია მელიქიძემ.




ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის განვითარების მიმდინარე ტენდენციები და საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების და გამოყენების წახალისების შესახებ – ამ თემებზე ისაუბრეს გადაცემაში „პროფესიონალები“ რადიო კომერსანტზე.

გადაცემის წამყვანის, სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის ნუგზარ ბერიძის კითხვებს სემეკის წევრი, მაია მელიქიძე პასუხობდა.

– განახლებადი ენერგიების არსებობა ქვეყნის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენ გვაქვს რესურსი და ამ რესურსის გამოყენება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. პანკისში მოსახლეობასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით იყო გარკვეული სირთულეები. ამ ყველაფერმა თავი ახლა იჩინა, ახლა დავიწყეთ დისკუსია, როცა შეგვეძლო უფრო ადრე განგვეხორციელებინა ეს ყოველივე. იქ ორი ჰესი არის უკვე აშენებული და მხოლოდ ამ მესამეს ჰესთან დაკავშირებით წარმოიშვა სირთულეები. გამოდის, რომ ამ ჰესის შემთხვევაში შესაბამისი კომუნიკაცია არ მოხდა, არ განემარტა მოსახლეობას ის სარგებელი, რომლის მიღებაც შეუძლიათ მათ ჰესის აშენების შემთხვევაში.

წლიდან წლამდე იმპორტი იზრდება, იმპორტირებული ენერგია კი ნიშნავს უცხოურ ვალუტაში ნაყიდ პროდუქციას, წმინდა ეკონომიკურად თუ შევხედავთ ამ საკითხს, ვნახავთ, რომ რაც დეფიციტურია, ე.ი. მასზე ფასიც გაიზრდება. არჩევანი უნდა გააკეთოს ქვეყანამ და მოსახლეობამ, რა გვინდა, რა მიზანი გვაქვს. ჩვენ რომ შევხედოთ ჩვენი წყლის სტატისტიკას, ვნახავთ, რომ ქვეყანა მეორე ადგილზეა წყლისა და ხმელეთის შეფარდებით. მაშინ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს რესურსი. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მზისა და ქარის ენერგია. ნებისმიერ პროცესს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. რა თქმა უნდა, იქნება ნაკლოვანებებიც, თუმცა უნდა გადავწყვიტოთ, რას ვაკეთებთ, ვმართავთ ნაკლოვანებებს თუ ვიყენებთ მას შანტაჟისთვის?

პანკისის შემთხვევაში, ამ ეტაპზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ინვესტორებს აქვთ გარკვეული შეთავაზებები და კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან არ არსებობს ნდობა.

მას შემდეგ, რაც ახალი კანონმდებლობის მიღება მოხდება, სემეკი დაიწყებს ე.წ. კანონქვემდებარე აქტების მიღებას და მეთოდოლოგიურ მორგებას. ნეტო აღრიცხვას, რომელიც დიდი ხანია სემეკმა მიიღო, ჯერ კიდევ 2016 წლიდან აქვს მეთოდოლოგია დახვეწილი. ნეტო აღრიცხვა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, მიუხედავად იმისა, რომ გამანაწილებელი ორგანოები მოხარულები არ არიან მისით, რადგან მათ უწევთ ენერგიის შესყიდვა. სამწუხაროდ, ნეტო აღრიცხვის ბევრი პრეცედენტი არ გაგვაჩნია. თბილისშია 28 და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე 52, რაც ნამდვილად ძალიან ცოტაა. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ ახალ დეველოპერებს ადგილობრივი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა აუხსნის და შესთავაზებს ნეტო აღრიცხვის უპირატესობებს.

როგორც ჩანს, საქართველოში ჩინეთში წარმოებულმა პანელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმოებულ პანელებს. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, ქუთაისში ხდება პანელების წარმოება, თუმცა მწარმოებელმა მითხრა, რომ მას თავისი პროდუქტი მხოლოდ ევროპაში გააქვს და საქართველოს ბაზარს ჯერ არ განიხილავს. რისი მიზეზიც, ბუნებრივია, არის ფასი. ასე რომ, წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს მწარმოებლებს, – ამბობს მაია მელიქიძე.

**კომერსანტი**

# „შავი პომიდორი“ — ახალი ჰოსტელი ქუთაისში

ქუთაისში განსხვავებული სახელწოდებითა და კონცეფციით ახალი ჰოსტელი გაიხსნა. „შავი პომიდორი“ ასე ჰქვია ჰოსტელს, რომელიც თბილისელმა გოგონებმა გახსნეს და მისი მართვა თბილისიდან დისტანციურად, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების პარალელურად გადაწყვიტეს.

ვინტაჟური სტილის ჰოსტელი საერთო ჯამში, 5 ნომერს აერთიანებს და სრული დატვირთვის შემთხვევაში, 30 სტუმრის მასპინძლობა შეუძლია. ჰოსტელი სასტუმროს ნომრებთან ერთად პატარა ბიბლიოთეკას და სამაგიდო თამაშების სივრცეს აერთიანებს. სასტუმროს ნომრების დაჯავშნა უკვე შესაძლებელია როგორც booking.com-ზე, ისე airbnb.com-ზეც.

– გვინდოდა შეგვექმნა პლატფორმა იმისთვის, რომ არა მარტო ტურისტები, არამედ ახალგაზრდებიც შეკრებილიყვნენ, გვემასპინძლა სხვადასხვა ღონისძიებებისთვის და დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ვორქშოფები. გვინდა საინტერესო ადამიანები გავაცნოთ იქაურ ახალგაზრდებს. საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ამ ქალაქს, რომ ტურისტულად მიმზიდველი იყოს – ერთგვარი საქართველოს გულია, ახლოს არის ზღვაც და მთაც. ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოდის ქუთაისში, შემდეგ მიდის მესტიაში. ფრენებმა ძალიან გაამარტივა ყველაფერი. დაახლოებით, 27 ქალაქიდან არის ფრენები“, – ამბობს „შავი პომიდორის“ დამფუძნებელი ელენე ზამთარაძე.

როგორც ჰოსტელის დამფუძნებლები ამბობენ, სასტუმროს მოსაწყობად დაახლოებით 20.000 ამერიკული დოლარი დაიხარჯა. სამომავლოდ „შავი პომიდორის“ განვითარებაც იგეგმება. ამ მიმართულებით დამფუძნებლები ზაფხულში ღვინის ბარის გახსნასაც აანონსებენ.

**BMG**

# უკრაინელი იულია სუსლიაკი ტრეფიკინგის ბრალდებით დააკავეს

10 უკრაინელი ბავშვის თანმხლები იულია სუსლიაკი შსს-მ არასრულწლოვანით ვაჭრობის ბრალდებით დააკავა.

26 აპრილს უწყებამ აღნიშნულ საქმეზე განცხადება გააკეთა:

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით უკრაინის მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული ი.ს. დააკავა.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული, მიმდინარე წლის 25 აპრილს, ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ი.ს. საქართველოში 10 მცირეწლოვან ბავშვთან ერთად რუსეთიდან 2019 წლის 8 აპრილს ჩამოვიდა და აპირებდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას. ე.წ. საზღვრის გადაკვეთამდე ი.ს.-მ სამეგრელოში დროებითი საცხოვრებელი იქირავა, სადაც ბავშვებთან ერთად რამდენიმე დღე იმყოფებოდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე აღნიშნულმა პირმა მიიქცია სამართალდამცველების ყურადღება და დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გამოძიების ფარგლებში მოპოვებული დოკუმენტაციის მიხედვით, 10-ვე ბავშვი ი.ს.-ს შვილია და მის გვარს ატარებს. თუმცა, მცირეწლოვნებიდან 4 დაბადებულია 2017 წელს, რამაც გააჩინა ტრეფიკინგის საფუძვლიანი ეჭვი.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კერძოდ, მოწმეთა გამოკითხვით დადგინდა, რომ ბრალდებული ბავშვებს აგრესიულად ექცეოდა და არასათანადო პირობებში ამყოფებდა, რის გამოც გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა უგულებელყოფის ფაქტზე, გამოცემული იქნა შემაკავებელი ორდერები და მიღებულ იქნა 10-ვე ბავშვის დედისაგან განცალკევების გადაწყვეტილება.





მოწმეთა ჩვენებებით, ასევე ირკვევა, რომ ი.ს. შესაძლოა არ არის მცირეწლოვანი ბავშვების დედა. ბავშვებისა და ბრალდებულის ბიოლოგიური კავშირის დადგენის მიზნით დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. ასევე, მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან.

გამოძიება ორი ან მეტი არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 143-ე 2-პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ბავშვების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ორი მცირეწლოვანი, შესაბამისი მეთვალყურეობით, ამ დრომდე რჩება სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო რვა ბავშვი განთავსებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის დაწესებულებებში (მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებაში და ჩვილ ბავშვთა სახლში)".

❖ ❖ ❖

იულია სუსლიაკის ადვოკატი ზურაბ თოდუა ამბობს, რომ ბავშვები სოციალურმა სამსახურმა წაიყვანა.

— წყნეთში ვუქირავე ბინა, ძიძაც ავუყვანე, ვუშოვე მანქანა. იქ უნდა შემესახლებინა. წუხელ, ქუთაისში დააკავეს. რა შეიცვალა, არ ვიცი, დეტალებზე ვერ გესაუბრებით, მეც არ ვარ გარკვეული. ახლა მივდივარ მასთან, — განაცხადა თოდუამ 26 აპრილს დილით.

„კურიერმა" სუსლიაკის საქმეზე ახალი დეტალები მოიძია.

ზუგდიდელები იხსენებენ, რა პირობებში ჰყავდა ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაში უკრაინის მოქალაქეს 10 ბავშვი.

მეზობლები ყვებიან, რომ ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა თქვა, რომ იულია სუსლიაკი მისი დედა არ არის. ადგილობრივების ინფორმაციით, იულია სუსლიაკი აფხაზეთში მეუღლესთან ჩასვლას გეგმავდა, თუმცა ენგურის ხიდზე მას პრობლემები შეექმნა.

— აფხაზეთში მინდა გადასვლა და შემაჩერესო. ერთმა ბავშვმა თქვა, ეს დედაჩემი არ არისო. ბიჭი იჯდა, საჭმელს ჭამდა და მაშინ ჰკითხა მეზობელმა და დედაჩემი არ არისო, — განუცხადა „კურიერს" ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ბესო მიქენაიამ.

ადვოკატი თოდუა ადასტურებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს აფხაზეთში ჩასვლა მართლაც სურდა, რადგან მეუღლესთან ერთად იქ ცხოვრებას აპირებდა. ადვოკატის განცხადებით, ოჯახი უკრაინაში პოლიტიკური შევიწროების მსხვერპლი იყო. თოდუას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ბავშვების ნაწილი თავად, ნაწილი კი სუროგატი დედის დახმარებით გააჩინა.

— გუშინწინ ქალბატონმა იულიამ და მისმა 10-ვე ბავშვმა ჩააბარა დედის თანხმობით ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ბიოლოგიური მასალა, რომლითაც ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ადგილობრივი ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 10-ვე ბავშვიდან 10-ვეს ბიოლოგიური მამა არის ერთი და იგივე ადამიანი, ქალბატონის მეუღლე, ხოლო 10 ბავშვიდან 4-ის ბიოლოგიური მშობლები არიან იულია და მისი კანონიერი ქორწინებაში მყოფი მეუღლე. დანარჩენი 6 არის სუროგატისგან გაჩენილი, მაგრამ ბიოლოგიური მამა არის მისი მეუღლე, — განაცხადა ზურაბ თოდუამ.

❖ ❖ ❖

26 აპრილს იულია სუსლიაკს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

ზურაბ თოდუას განცხადებით, საქმის მასალებს მას 27 აპრილს შსს-ში გადასცემენ.

— გამომძიებელმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს წარუდგინა ბრალი, ფორმულირება იგივეა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ვერ წარმომიდგინა ვერც ერთი მტკიცებულება. ამ ეტაპზე, მე ვერ ვიმსჯელებ სამართლებრივად, თუ რა გარემოებებით არის დასაბუთებული ის ბრალი, რაც ერაცხება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს.

გამოძიებას ჩემთვის საქმის მასალები არ გადმოუცია, მიბარებენ ხვალ დილით — 10:00 საათზე უნდა მივიდე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომძიებელთან და მპირდებიან, რომ დილით გადმომცემენ საქმის მასალებს.

ამ ბრალში ჩამოთვლილია მოწმეები, რომლებიც თითქოს ადასტურებენ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს განზრახული ჰქონდა 10-ვე ბავშვის გაყიდვა ძიებით დაუდგენელ მისამართზე და ძიებით დაუდგენელ ხალხთან. ეს მოწმეები, ჩემდა გასაკვირად, არიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები — ექიმები, ბინის მესაკუთრეები, სასტუმროს თანამშრომლები და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები რომლებმაც იხილეს ეს დოკუმენტი. ბრალდებული არ აღიარებს ბრალს, — განაცხადა ზურაბ თოდუამ.

## მოსკოვში საქართველოს მოქალაქემ 1 კაცი მოკლა და მერე თავი მოიკლა



მოსკოვში საქართველოში მცხოვრებმა 60 წლის რუსლან აბდულაევმა, რომელიც ავტონაწილებით ვაჭრობდა, „ნოვი ჩერემუშკაში" 50 წლის ვაგიფ გუმბატოვი ნაგანიდან გასროლით მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

არსებული ინფორმაციით, მანამდე, აბდულაევის შვილი დიდი ოდენობით ვალებისთვის მოკლეს.

მკვლელობა 25 აპრილს შუადღით მოხდა. მის მთავარ ვერსიად შვილის გამო შურისძიება სახელდება.

რუსული მედიის ინფორმაციით, ის აზარტული თამაშებით იყო გატაცებული.

## სულიკო ზერეკიძე გორის ქარის გენერატორების ოფისის ეზოში გარდაცვლილი იპოვეს




უბედური შემთხვევა მოხდა გორში — ქარის გენერატორების ოფისის ეზოში დაცვის თანამშრომელი გარდაიცვალა.

71 წლის სულიკო ზერეკიძე დაცვის ობიექტთან ახლოს მდებარე სატელევიზიო ანძის ოფისში იმყოფებოდა, იქედან გამოსული კი კიბიდან დაგორდა და თავი საკუთარ ავტომობილს ჩამოარტყა.

ქარის გენერატორის მომსახურე ოფისს ელექტროენერგია არ მიეწოდება, რის გამოც თანამშრომლებს ხშირად უწევთ ანძის ოფისთან მისვლა.

— მე თბილისში ვიყავი, დამირეკეს, ჩამოვედი და ვნახე, წაიქცაო და თავი დაარტყა მანქანის დისკს. მგონი, დაამტკიცეს, რომ გულმა დაარტყა და იმიტომ წაიქცა, — ყვება ერთ-ერთი თანამშრომელი.

## ნავთლუღის ბაზართან ჯიხურები დაიწვა

თბილისში, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარედ, 50 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსებული ჯიხურები დაიწვა.

მეხანძრე-მაშველებმა ხანძრის ფართო მასშტაბებზე გავრცელების საფრთხე აღკვეთეს. ხანძრის დროს არავინ დაშავებულა.

ადგილზე მუშაობდა მეხანძრე-მაშველთა 5 ჯგუფი — 25 მეხანძრე მაშველი და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა.

## ლევან ჯიბღაშვილი: „როცა მიჭერდნენ, მითხრეს, ვითომ გადაღებაზე ხარო"

— როგორც მითხრეს, სწორედ იმ შენობაში მიმდინარეობდა სერიალ „დეტექტივების" გადაღებები, სადაც ლევან ჯიბღაშვილი დაკავების შემდეგ გადაიყვანეს.

ამის შესახებ მსახიობის ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის" გადაცემა „360 გრადუსში" სტუმრობისას განაცხადა.

— მე რატომღაც არ მქონდა ეს სერიალი ნანახი. როგორც მითხრეს, სწორედ ამ შენობაში მიმდინარეობდა გადაღებაო. ხომ ხედავთ, ცხოვრება უცნაური რამ არის, — აღნიშნა გიგუაშვილმა.

როგორც გადაცემაში სტუმრობისას ლევან ჯიბღაშვილმა აღნიშნა, სერიალში შესრულებული როლიდან გამომდინარე, დაკავების მომენტში მას პოლიციელებმა ხუმრობით მიმართეს.

— როდესაც მიჭერდნენ, მითხრეს, ვითომ გადაღებაზე ხარო. იხუმრეს. ასევე კურიოზი მოხდა, როდესაც კამერაში ვიყავი. წიგნები მოვითხოვეთ და ერთ-ერთმა დაკავებულმა თქვა, რომ დეტექტიური ჟანრის მომიტანეო. გაეხუმრნენ სხვები, რად გინდა, აგერ არ გყავს, ჰკითხე რაც გინდაო, — აღნიშნა ჯიბღაშვილმა.



ლევან ჯიბღაშვილი ქართულ დეტექტიური ჟანრის სერიალ „დეტექტივებში" ლეიტენანტ გიორგი ტატიშვილის როლს ასრულებდა.

რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული საგამოძიებო სერიალი რუსთავი 2-ის ეთერში 2010 წელს გადიოდა.

## აჭარასა და სამეგრელოში სიჩქარის მზომი სექციური რადარების რაოდენობა გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რეგიონებში სიჩქარის მზომი „ჭკვიანი" კამერების მონტაჟს განაგრძობს.

26 აპრილიდან სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონებში, კერძოდ,

ქალაქებში — სენაკსა და ბათუმში, 10 ადგილზე სიჩქარის მზომი სექციური რადარები ამოქმედდა.




საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ამოქმედებულია 2.669 ვიდეოკამერა, რომელთაგანაც 936 არის ნომრის ამომცნობი, ხოლო 1.733 არის ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა. ამ დროისთვის სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე 447 კმ სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება.

უწყების მიერ, 2019 წლის ბოლომდე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდება 5.000-მდე ვიდეოკამერა, მათ შორის 2.100 ე.წ. ჭკვიანი ვიდეოკამერა, ხოლო სიჩქარის მზომი სექციური მოწყობილობებით გადაიფარება საავტომობილო გზის 700 კმ-მდე მონაკვეთი. სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების 26 % სიჩქარის გადაჭარბებით იყო გამოწვეული.

2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია, საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

# ზელენსკის პარლამენტის დათხოვნა უნდა



უკრაინის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობით უკმაყოფილება გამოთქვა.

მისი აზრით, არჩევნების საბოლოო შედეგის დასახელება ხელოვნურად ჭიანურდება.

– ცესკო ცდილობს, ჩემი ინაუგურაცია 27 მაისამდე გადაიდოს, რათა პარლამენტის დაშლა ვერ შევძლო, – აცხადებს ზელენსკი.

მისი აზრით, პარლამენტის დაშლა და ვადამდელი არჩევნების ჩატარება აუცილებელია, რადგან სხვაგვარად რეფორმები ვერ განხორციელდება.

– მე 73%-მა მხარი დამიჭირა და სრული მორალური უფლება გამაჩნია, რომ პარლამენტი დავშალო, – თქვა ზელენსკიმ.

ინაუგურაციამდე ზელენსკი თურქეთში დასასვენებლად გაემგზავრა.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა.

„შევთანხმდით, რომ ღია ვიქნები. ამიტომ გეუბნებით, რომ თურქეთში მივემგზავრები, ბავშვები მიმყავს ყოველწლიურ ფესტივალზე. ორ დღეში დავბრუნდები. ოთხი თვის განმავლობაში ეს ჩემი პირველი შვებულებაა. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობასა და ნორმალურ დასვენებას“, – განაცხადა ვლადიმერ ზელენსკიმ.

# კიმ ჩენ ინი რუსეთიდან დაგეგმილზე 7 საათით ადრე გაემგზავრა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ვლადივოსტოკიდან დაგეგმილზე 7 საათით ადრე გაემგზავრა.

ოფიციალური ინფორმაციით, დაუდგენელი მიზეზების გამო 26 აპრილს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები გაუქმდა, მათ შორის საბრძოლო დიდების მემორიალთან მისვლა, მეჯლისზე დასწრება და ოკეანარიუმში ვიზიტი.

ვლადიმირ პუტინისა და კორეის ლიდერის შეხვედრა 25 აპრილს გაიმართა. იგი დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა. შეხვედრის შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ დიალოგი შინაარსიანი და საქმიანი იყო და იგი შეხვედრით კმაყოფილია.

სამაგიეროდ. კიმ ჩენ ინს შეხვედრის შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან პუტინი ჩრდილოეთ კორეაში დაპატიჟა.

ექსპერტები ამ შეხვედრას „მოსაზრებების გაცვლას“ უწოდებენ, მათ შორის კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის საკითხში.



# თურქეთი: „აშშ-მ უნდა გაიაზროს, რომ თურქეთზე ზეწოლა უშედეგოა“



– აშშ-მ უნდა გაიაზროს, რომ თურქეთზე ზეწოლითა და მუქარით შედეგს ვერ მიიღებს.

ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხამი აქსოიმ განაცხადა.

– აშშ-ის ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო მუქარის ენით ლაპარაკი. თუმცა, აქამდე ყველა დარწმუნდა, რომ ამგვარი მიდგომა უშედეგო და უაზროა. ანკარა არ მოითმენს ზეწოლას და ეს აშშ-მ უნდა გაიაზროს, – განაცხადა აქსოიმ.

მისი თქმით, თურქეთი და აშშ განაგრძობენ დიალოგს ორმხრივ ურთიერთობებში პრობლემების მოსაგვარებლად.

– ამერიკული მხარისგან კონკრეტულ ნაბიჯებს მოველით იმ საკითხებში, რომლებიც თურქეთის ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, – დასძინა მან.

# ტრამპი: „მუელერის გამოძიება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სპეცპროკურორ რობერტ მუელერის გამოძიება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას წარმოადგენდა.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ტელეარხ ფოქს ნიუსისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. ეს იყო აშშ-ის მთავრობის დამხობის მცდელობა, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა რობერტ მუელერის გამოძიება უოტერგეიტის სკანდალს შეადარა, რომლის შედეგად პრეზიდენტ ნიქსონს გადადგომა მოუხდა.

– ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უოტერგეიტი იყო. ეს გადატრიალების მცდელობა იყო. ეს არ იყო უბრალოდ ინფორმაციის მოპარვა, რაც უოტერგეიტის სკანდალისას მოხდა. ვიმეორებ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, როგორც ეს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ხდება, – აღნიშნა მან.





# შრი ლანკაში კვლავ ტერაქტებია მოსალოდნელი

აშშ-ის საელჩო შრი ლანკაში საგანგებო განცხადებით გამოვიდა. მასში ნათქვამია, რომ რესპუბლიკაში ახალი ტერაქტებია მოსალოდნელი.

– საფრთხე რეალურია, – ამტკიცებენ ამერიკელი დიპლომატები.

შრი ლანკის პრემიერმა რანილ ვიკრამასინგხემ განაცხადა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მებრძოლთა კარგად ორგანიზებული ჯგუფებია. ისინი როგორც ცეცხლსასროლი იარაღით, ასევე ასაფეთქებელი ნივთიერებებითაც არიან უზრუნველყოფილნი.

– ტერორისტების ნაწილი გამოვავლინეთ და შევიპყარით, ნაწილი ჯერჯერობით გარეთაა, – ამბობს პრემიერი.

# ჩეჩნეთის მთავრობის მეთაურს აშშ-ში შესვლა აუკრძალეს



ჩეჩნეთის მთავრობის მეთაურ ხუჩიევს აშშ-ში შესვლა აუკრძალეს.

მიზეზი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევაა.

– ჩეჩნეთში ადგილი აქვს უკანონო დაპატიმრებებს, წამებებს, დახვრეტებს, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შეიძინეთ წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ევროპა ფინიშისკენ მიიწევს

**სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება ეროვნული ჩემპიონატების დასრულებამდე. ჯერ ბევრი რამ გასარკვევია, ამიტომ ბევრ თამაშს თავისებური დატვირთვა აქვს. აქედან გამომდინარე, მომავალ უქმეებზე გულშემატკივრებს მოსაწყენად არ ეცლებათ.**

## სტატისტიკა, ფსონები



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.04 ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.40 | 4.95 | 7.00 |
| 27.04 საუთჰემპტონი-ბორნმუთი | 1.90 | 3.70 | 4.00 |
| 27.04 კრ.პალასი-ევერტონი | 2.60 | 3.35 | 2.70 |
| 27.04 უოტფორდი-ვულვზი | 2.55 | 3.20 | 2.90 |
| 27.04 ფულემი-კარდიფი | 2.35 | 3.50 | 2.90 |
| 27.04 ბრაიტონი-ნიუკასლი | 2.30 | 3.10 | 3.40 |
| 28.04 ლესტერი-არსენალი | 2.65 | 3.65 | 2.55 |
| 28.04 ბარნლი-სიტი | 18.00 | 8.00 | 1.15 |
| 28.04 მანჩესტერი-ჩელსი | 2.65 | 3.40 | 2.65 |

#### ტოტენჰემი-ვესტ ჰემი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-მუსა სისოკო, ჰარი კეინი, ერიკ ლამელა, სერჟ ორიე

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი

#### საუთჰემპტონი-ბორნმუთი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა, მაიკლ ობაფემი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-დიეგო რიკო, ჩარლი დანიელსი, ენდრიუ სარმანი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

#### კრ.პალასი-ევერტონი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეფ შლუპი, ჯეიმს ტომკინსი, მამადუ სახო

ევერტონი: ***ტრავმ***-იერი მინა

#### უოტფორდი-ვულვზი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ტროი დენეი, ხოსე ჰოლებასი

ვულვზი: ***ტრავმ***-არავინ

#### ფულემი-კარდიფი

ფულემი: ***ტრავმ***-ტიმოთი ფოსუ-მენსა

კარდიფი:***ტრავმ***-კალუმ პატერსონი, სოლ ბამბა, ჰარი არტერი

#### ბრაიტონი-ნიუკასლი

ბრაიტონი:***ტრავმ***-ანტონი კნოკაერტი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-არავინ

#### ლესტერი-არსენალი

ლესტერი:***ტრავმ***-დანიელ ამარტეი

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რემზი, ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

#### ბარნლი-სიტი

ბარნლი:***ტრავმ***-სტივ დეფო, აარონ ლენონი

სიტი: ***ტრავმ***-კლაუდიო ბრავო

#### მანჩესტერი-ჩელსი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ლუკ შოუ, ანტონიო ვალენსია

ჩელსი: ***ტრავმ***-ანტონიო რუდიგერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 29 | 2 | 4 | 89-22 | 89 |
| 2.ლივერპული | 35 | 27 | 7 | 1 | 79-20 | 88 |
| 3.ტოტენჰემი | 35 | 23 | 1 | 11 | 65-35 | 70 |
| 4.ჩელსი | 35 | 20 | 7 | 8 | 59-38 | 67 |
| 5.არსენალი | 35 | 20 | 6 | 9 | 69-46 | 66 |
| 6.მანჩესტერი | 35 | 19 | 7 | 9 | 63-50 | 64 |
| 7.ვულვზი | 35 | 14 | 9 | 12 | 44-43 | 51 |
| 8.უოტფორდი | 35 | 14 | 8 | 13 | 50-50 | 50 |
| 9.ევერტონი | 35 | 14 | 7 | 14 | 50-44 | 49 |
| 10.ლესტერი | 35 | 14 | 6 | 15 | 48-47 | 48 |
| 11.ვესტ ჰემი | 35 | 12 | 7 | 16 | 44-54 | 43 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 12 | 6 | 17 | 43-48 | 42 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 8 | 16 | 35-44 | 41 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 12 | 5 | 18 | 49-62 | 41 |
| 15.ბარნლი | 35 | 11 | 7 | 17 | 44-62 | 40 |
| 16.საუთჰემპტონი | 35 | 9 | 10 | 16 | 41-58 | 37 |
| 17.ბრაიტონი | 35 | 9 | 7 | 19 | 32-54 | 34 |
| 18.კარდიფი | 35 | 9 | 4 | 23 | 30-65 | 31 |
| 19.ფულემი | 35 | 6 | 5 | 24 | 33-76 | 23 |
| 20.ჰადერსფილდი | 35 | 3 | 5 | 27 | 20-69 | 14 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.04 ბილბაო-ალავესი | 1.50 | 4.05 | 7.00 |
| 27.04 ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.35 | 4.65 | 10.00 |
| 27.04 ლეგანესი-სელტა | 2.45 | 3.15 | 3.10 |
| 27.04 ბარსელონა-ლევანტე | 1.25 | 6.25 | 10.00 |
| 28.04 ვალენსია-ეიბარი | 1.45 | 4.75 | 6.50 |
| 28.04 ხირონა-სევილია | 4.15 | 3.70 | 1.85 |
| 28.04 სოსიედადი-ხეტაფე | 2.60 | 3.10 | 2.90 |
| 28.04 ვილიარეალი-უესკა | 1.55 | 4.40 | 5.50 |
| 28.04 რაიო-რეალი | 6.50 | 5.00 | 1.45 |
| 29.04 ბეტისი-ესპანიოლი | 2.30 | 3.50 | 3.05 |

#### ბილბაო-ალავესი

ბილბაო: ***ტრავმ***-დანი გარსია, კაპა

ალავესი: ***ტრავმ***-ჯონათან კალერი, ბურგუი

#### ატლეტიკო-ვალიადოლიდი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-შტეფან სავიჩი, ლუკას ერნანდესი

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-დანიელე ვერდი, დუჯე კოპი, ლუისმი

#### ლეგანესი-სელტა

ლეგანესი: ***ტრავმ***-არავინ

სელტა:***ტრავმ***-ემრე მორი, ბრაიზ მენდესი, დავიდ ჯუნკა

#### ბარსელონა-ლევანტე

ბარსელონა:***ტრავმ***-ტომას ვერმალენი, რაფინია

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო პოსტიგო, ჩეიკ დაკური

#### ვალენსია-ეიბარი

ვალენსია: ***ტრავმ***-ჟოფრი კონდოგბია

ეიბარი:***ტრავმ***-რუბენ პენა, ივან რამისი, პაპაკოილი დიოპი, პედრო ბიგასი, ანაიც არბილია

#### ხირონა-სევილია

ხირონა:***ტრავმ***-იონას რამალიო, კარლეს პლანასი, ადაი ბენიტესი

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო

#### სოსიედადი-ხეტაფე

სოსიედადი: ***ტრავმ***-ტეო ერნანდესი, ექტორ მორენო, ადნან იანუზაი, კევინ როდრიგესი, დავიდ ზურუტუზა, ასიერ ილიარამენდი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ვიტორინო ანტუნესი, ამატ ნდიაე

#### ვილიარეალი-უესკა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მიგელ ლამბრიჯი

უესკა: ***ტრავმ***-კარლოს აკაპო, პაბლო ინსუა

#### რაიო-რეალი

რაიო: ***ტრავმ***-ჯიანელი იმბულა, გორკა ელუსტონდო

რეალი: ***ტრავმ***-მარიანო, ალვარო ორდიზოლა, სერხიო რამოსი, ვინიციუსი

#### ბეტისი-ესპანიოლი

ბეტისი: ***ტრავმ***-ვილიამ კარვალიუ

ესპანიოლი: ***ტრავმ***-რობერტო როსალესი, დავიდ ლოპესი, პაბლო პიატი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 24 | 8 | 2 | 85-32 | 80 |
| 2.ატლეტიკო | 34 | 21 | 8 | 5 | 51-23 | 71 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 4 | 9 | 58-38 | 64 |
| 4ხეტაფე | 33 | 14 | 12 | 7 | 43-29 | 54 |
| 5.სევილია | 33 | 15 | 7 | 11 | 54-42 | 52 |
| 6.ვალენსია | 34 | 12 | 16 | 6 | 40-30 | 52 |
| 7.ბილბაო | 34 | 12 | 13 | 9 | 37-39 | 49 |
| 8.ალავესი | 34 | 12 | 10 | 12 | 35-44 | 46 |
| 9.ესპანიოლი | 34 | 11 | 10 | 13 | 40-49 | 43 |
| 10.ბეტისი | 34 | 12 | 7 | 15 | 38-49 | 43 |
| 11.სოსიედადი | 33 | 10 | 11 | 12 | 39-41 | 41 |
| 12.ლეგანესი | 34 | 10 | 11 | 13 | 33-39 | 41 |
| 13.ეიბარი | 34 | 9 | 13 | 12 | 42-47 | 40 |
| 14.ლევანტე | 34 | 9 | 10 | 15 | 51-61 | 37 |
| 15.ვილიარეალი | 33 | 8 | 12 | 13 | 42-46 | 36 |
| 16.სელტა | 34 | 9 | 9 | 16 | 48-57 | 36 |
| 17.ვალიადოლიდი | 34 | 8 | 11 | 15 | 29-47 | 35 |
| 18.ხირონა | 34 | 8 | 10 | 16 | 34-47 | 34 |
| 19.უესკა | 34 | 6 | 11 | 17 | 37-55 | 29 |
| 20.რაიო | 33 | 7 | 7 | 19 | 36-57 | 28 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.04 ლაიფციგი-ფრაიბურგი | 1.25 | 6.00 | 11.25 |
| 27.04 ჰანოვერი-მაინცი | 2.90 | 3.55 | 2.35 |
| 27.04 ფორტუნა-ვერდერი | 2.90 | 3.65 | 2.30 |
| 27.04 აინტრახტი-ჰერტა | 1.40 | 5.00 | 6.75 |
| 27.04 დორტმუნდი-შალკე | 1.30 | 5.50 | 8.75 |
| 27.04 შტუტგარტი-გლადბახი | 3.55 | 3.70 | 2.00 |
| 28.04 ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 1.50 | 5.00 | 5.50 |
| 28.04 ნიურნბერგი-ბაიერნი | 16.50 | 8.75 | 1.14 |

#### ლაიფციგი-ფრაიბურგი

ლაიფციგი: ***ტრავმ***-დაიოტ უპამეკანო

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მანუელ გულდე, ფილიპ ლენჰარტი, ნილს პეტერსენი, ლუკას კუბლერი, როლანდ სალაი

#### ჰანოვერი-მაინცი

ჰანოვერი:***ტრავმ***-ფლორენ მუსლიჯა, ტაკუმა ასანო, იოსიპ ელეზი, მიიკო ალბორნოზი, ბობი ვუდი, ნიკლას ფულკრუგი, ილჰას ბებუ

მაინცი: ***ტრავმ***-ისა აბასი, გერიტ ჰოლტმანი, ფილიპ მვენე

#### ფორტუნა-ვერდერი

ფორტუნა: ***ტრავმ***-მარსელ სობოტკა, ადამ ბოძეკი, დავორ ლოვრენი, ოლივერ ფინკი, ნიკო გისელმანი, იან ციმერი

ვერდერი: ***ტრავმ***-არავინ

#### აინტრახტი-ჰერტა

აინტრახტი: ***ტრავმ***-სებასტიან ჰალერი, ტალებ ტავატა, მარკ სტენდერა

ჰერტა: ***ტრავმ***-არნე მაიერი, ჯორდან ტონუნარინგა, დერიკ ლუკასენი

#### დორტმუნდი-შალკე

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ლუკაშ პიშჩეკი, აჩრაფ ჰაკიმი

შალკე: ***ტრავმ***-მარკ უტი, ჰამზა მენდილი, ალესანდრო შოპფი

#### შტუტგარტი-გლადბახი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სანტიაგო ასკაკიბარი, ჰოლგერ ბადშტურბერი, პაბლო მაფეო

გლადბახი: ***ტრავმ***-ლარს სტინდი

#### ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჯოელინტონი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

#### ნიურნბერგი-ბაიერნი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ტორლეს კნოლი, ენრიკო ვალენტინი, ადამ ზრელაკი

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 22 | 4 | 4 | 79-29 | 70 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 21 | 6 | 3 | 72-36 | 69 |
| 3.ლაიფციგი | 30 | 18 | 7 | 5 | 57-23 | 61 |
| 4.აინტრახტი | 30 | 15 | 8 | 7 | 58-35 | 53 |
| 5.გლადბახი | 30 | 15 | 6 | 9 | 49-37 | 51 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 30 | 13 | 11 | 6 | 65-41 | 50 |
| 7.ლევერკუზენი | 30 | 15 | 3 | 12 | 53-48 | 48 |
| 8.ვერდერი | 30 | 12 | 10 | 8 | 52-42 | 46 |
| 9.ვოლფსბურგი | 30 | 13 | 7 | 10 | 48-45 | 46 |
| 10.ფორტუნა | 30 | 11 | 4 | 15 | 40-59 | 37 |
| 11.ჰერტა | 30 | 9 | 9 | 12 | 41-48 | 36 |
| 12.მაინცი | 30 | 10 | 6 | 14 | 37-51 | 36 |
| 13.ფრაიბურგი | 30 | 7 | 11 | 12 | 39-54 | 32 |
| 14.აუგსბურგი | 30 | 8 | 7 | 15 | 46-55 | 31 |
| 15.შალკე | 30 | 7 | 6 | 17 | 32-52 | 27 |
| 16.შტუტგარტი | 30 | 5 | 6 | 19 | 27-67 | 21 |
| 17.ნიურნბერგი | 30 | 3 | 9 | 18 | 24-56 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 30 | 3 | 6 | 21 | 25-66 | 15 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.04 ბოლონია-ემპოლი | 1.80 | 3.75 | 4.35 |
| 27.04 რომა-კალიარი | 1.45 | 4.60 | 6.75 |
| 27.04 ინტერი-იუვენტუსი | 2.45 | 3.25 | 3.00 |
| 28.04 ფროზინონე-ნაპოლი | 8.50 | 4.95 | 1.35 |
| 28.04 კიევო-პარმა | 3.00 | 3.15 | 2.50 |
| 28.04 სპალი-ჯენოა | 2.65 | 2.75 | 3.20 |
| 28.04 სამპდორია-ლაციო | 3.00 | 3.55 | 2.30 |
| 28.04 ტორინო-მილანი | 2.85 | 3.10 | 2.70 |
| 29.04 ატალანტა-უდინეზე | 1.35 | 5.25 | 9.00 |
| 29.04 ფიორენტინა-სასუოლო | 1.75 | 3.80 | 4.65 |

#### ბოლონია-ემპოლი

ბოლონია: ***ტრავმ***-ფედერიკო სანტანდერი

ემპოლი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონელი, მატიას სილვესტრი, ანტონიო ლა გუმინა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბათუმი ლიდერია, გორი ბოლო ადგილს დასცილდა

**გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები. ლიდერებმა წარუმატებლად ითამაშეს – ტორპედომ წააგო, თბილისის დინამო კი ფრეს დასჯერდა.**

#### ჩიხურა-დინამო (თბ) 2:2

<u>თბილისი. მიხეილ მესხი</u>

<u>1:0 კამლაძე (56), 1:1 კუტალია (80), 1:2 რუხაია (90), 2:2 კორიფაძე (90პ)</u>

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, კამლაძე, მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, მარკოზაშვილი (მეგრელიშვილი 87), მახარობლიძე (მუმლაძე 72), სარდალიშვილი, ჩიხლაძე, დეკანოიძე

**დინამო:** პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, იაშვილი, ქარდავა (აზაროვი 64), ზარია (კარბია 39), შულაია (ნინუა 56), პაპავა, შენგელია, კუტალია

**გაძევება:** რევაზ ჩიტეიშვილი (83)

პირველ ნახევარში გუნდებს შორის თანაბარი თამაში წარიმართა, თუმცა რეალური საგოლე მომენტების გარეშე. ერთია, ჩიხურა უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მეორე ტაიმში აქტიურობამ იმატა და 56-ე წუთზე „მასპინძლებმა“ ანგარიშიც გახსნეს – გოლი ირაკლი კამლაძემ გაიტანა. დედაქალაქელებმა გაშვებული გოლის შემდეგ მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს, რამაც შედეგი მე-80 წუთზე მოიტანა. ანგარიში ლევან კუტალიამ გაათანაბრა.

83-ე წუთზე შეხვედრის მთავარმა არბიტრმა საჩხერელთა ფეხბურთელს რევაზ ჩიტეიშვილს უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა. რიცხობრივი უპირატესობით დინამოელებმა მალევე ისარგებლეს და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გუჯა რუხაიას გოლით დაწინაურდნენ.

თითქოს სტუმართა მიერ 3 ქულის მოპოვებას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე დინამოს კარის მიმართულებით პენალტი დაინიშნა. 11 მეტრიდან დარტყმა ზუსტად გიორგი კორიფაძემ შეასრულა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

#### სიონი-ტორპედო 2:1

<u>ბოლნისი. თამაზ სტეფანია</u>

<u>0:1 ზივზივაძე (29), 1:1, 2:1 უგულავა (31, 65)</u>

**სიონი:** ლ.ისიანი, რ.ჩაჩუა, უგრეხელიძე, ქიქავა, თარხნიშვილი, უგულავა (მანაგაძე 71), დ.კირკიტაძე, სიხარულია (თარგამაძე 63), ვ.ისიანი, აფაქიძე (თომაშვილი 73), სუხიაშვილი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, ცინცაძე (წიქარიძე 68), გიგაური, ნ.ქავთარაძე, თ.კაპანაძე (ჭიჭინაძე 80), ზივზივაძე, აზაცკი, სტიეპოვიჩი, გეგეჭკორი, დოლიძე (ტაბატაძე 71)

მატჩში ფავორიტად სტუმრები მიიჩნეოდნენ, მაგრამ მოულოდნელად 3 ქულა დაკარგეს.

არადა, ტორპედოსთვის ყველაფერი იდეალურად დაიწყო – ბუდუ ზივზივაძემ თავისი გუნდი 29-ე წუთზე დააწინაურა.

მასპინძლებმა 2 წუთში გაათანაბრეს: მცველების შეცდომით ჯაბა უგულავამ ისარგებლა და ტორპედოს სიხარული არ აცალა.

უგულავამვე მატჩის მეორე ნახევარში გამარჯვების მომტანი გოლი გაუტანა როინ კვასხვაძეს და 8 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

#### ვიტ ჯორჯია-დილა 0:1

<u>თბილისი. მიხეილ მესხი 2</u>

<u>1:0 ნჯოკუ (88)</u>

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი (მაისურაძე 57), ვასაძე, კაკაშვილი, ღუდუშაური (მუსელიანი 73), ღირდალაძე (ვაზაგაშვილი 87)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, სანტოსი, გრიგალაშვილი, ნონდი, ფორტესი (ნჯოკუ 80), კუცია, ნონიკაშვილი (გაგნიძე 90), გოშთელიანი (სპანდერაშვილი 80)



მასპინძლები, რომლებმაც წინა ტურში ლიდერ თბილისის დინამოს დააკარგვინეს 3 ქულა, ამჯერად აუტსაიდერ დილასთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ.

მატჩის ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი ჯეიკობ ნჯოკუმ 88-ე წუთზე გაიტანა. მოპოვებული 3 ქულით გორის დილამ გასავარდნ ზონას დააღწია თავი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 10 | 7 | 1 | 2 | 15-8 | 22 |
| 2.საბურთალო | 10 | 7 | 0 | 3 | 23-16 | 21 |
| 3.ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-8 | 17 |
| 4.დინამო (თბ) | 9 | 5 | 1 | 3 | 15-7 | 16 |
| 5.ჩიხურა | 9 | 3 | 5 | 1 | 12-7 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 2 | 4 | 5-8 | 11 |
| 7.სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-18 | 11 |
| 8.ლოკომოტივი | 10 | 3 | 0 | 7 | 12-17 | 9 |
| 9.დილა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-10 | 8 |
| 10.რუსთავი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-19 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# დაკარგული ძაღლი სახლიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით იპოვეს

დაკარგული ძაღლი სახლიდან 3,2 ათასი კილომეტრის დაშორებით იპოვეს. ცხოველთა დახმარების ფონდის მონაცემებით, გერმანული ნაგაზი, სახელად კედრი, კოლორადოს შტატის ქალაქ ჰიუგოში აღმოაჩინეს. ის თოვლით დაფარულ გზის პირას იწვა. ცხოველი ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანეს და მისთვის ჩანერგილი ჩიპის დახმარებით მის პატრონს დაუკავშირდნენ.



ცხოველის პატრონმა თამარა პეტერსენმა გაიხსენა, რომ 2017 წლის მაისში ვილაცა მათი სახლის ეზოში შეიპარა და ოთხი თვის ლეკვი მოიპარა. ოჯახმა ფლორიდის შტატის ქალაქ საუტვესტ რანჩესის ქუჩებში ფურცლები გამოაკრა ლეკვის დაკარგვის თაობაზე და კერძო დეტექტივიც კი დაიქირავა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიგო ქალმა, რომ მისი საყვარელი ცხოველი ცოცხალი იყო.

— მაშინვე ავტირდი. ვერ ვიჯერებდი, იმ დღიდან ხომ თითქმის ორი წელი გავიდა, — განაცხადა პეტერსენმა.

ცხოველთა დახმარების ფონდის თანამშრომლები სამი კვირის განმავლობაში უვლიდნენ კედრს, რის შემდეგაც ძაღლი თავის სახლში თვითმფრინავით გადაიყვანეს. ოჯახი დიდი სიხარულით შეეგება სახლში დაბრუნებულ ცხოველს.

# ბუღალტერმა მოპარული ფული ფეხსაცმელსა და ხელჩანთებზე დახარჯა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ დერბიში სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ქალს, რომელიც წლინახევრის განმავლობაში კომპანიის ანგარიშიდან, რომელშიც ის მუშობდა,უკანონოდ ირიცხავდა მსხვილ თანხებს საკუთარ ანგარიშზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ამ ფულით დიზაინერულ ნივთებს ყიდულობდა.



33 წლის ჰასნია ოსმანაგიჩი ტექნოლოგიურ კომპანიაში ბუღალტრის თანაშემწედ მუშაობდა. 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, მან რამდენიმე სხვადასხვა სახის გადარიცხვა განახორციელა კომპანიის კუთვნილი ანგარიშებიდან, რომელთა ჯამმა 39 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. ეს ფული ქალმა დიზაინერული ხელჩანთების, როლექსის საათებისა და გუჩის ფეხსაცმლის შეძენაში დახარჯა.

ეს ყოველივე მას შემდეგ გამოვლინდა, როდესაც მისმა ხელმძღვანელობამ რამდენიმე საეჭვო გადარიცხვა აღმოაჩინა უცნობ ანგარიშებზე. ამ ინციდენტის შემდეგ ქალი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს სამსახურიდან, ხოლო საქმე თაღლითობასთან ბრძოლის დერბშირის საგრაფოს პოლიციის განყოფილებას გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ ოსმანგიჩს ადრეც ჰქონია პრობლემები კანონთან. ის რამდენჯერმე იქნა დაჯარიმებული სიჩქარის გადაჭარბებისთვის.

მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში ქალმა თავი დამნაშავედ ცნო, რის შემდეგაც სასამართლომ მას ერთი წლით და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# კუნგ-ფუს ოსტატმა წყალი ცხვირით შეისრუტა და თვალებიდან გადმოაფრქვია





ჩინეთში კუნგ-ფუს ოსტატმა საკუთარი შესაძლებლობის დემონსტრირება მოახდინა, რა დროსაც მან სითხე ცხვირის ნესტოებით შეისრუტა და შემდეგ თვალებიდან გადმოაფრქვია.

ხენანის პროვინციის ქალაქ სინსიანის მკვიდრი ჩჟან ილუნი საბრძოლო ხელოვნების სპეციალისტია. ის ამტკიცებს, რომ, რასაც თავად აკეთებს, 'ძველი ჩინური ცოდნაა". მან აღიარა, რომ ათი წელი სწავლობდა ამ ილეთის სწორად შესრულებას.

ვიდეორგოლში ილუნი ბოკალიდან წყალს და რძეს ისრუტავს ცხვირის ნესტოებით და შემდეგ სითხეს მარჯვენა თვალის საცრემლე ჯირკვლიდან ასხავს. კუნგ-ფუს ოსტატმა ასეთი ხერხით მცენარის მორწყვა და იეროგლიფის დაწერაც კი შეძლო. ის ამტკიცებს, რომ თვალიდან სითხის 1,7 მეტრზე გასხმა შეუძლია.

ილუნმა ვიდეოს მაყურებლებს მოუწოდა, რომ მისი ილეთი არ გაიმეორონ.

— ეს სახიფათოა. ათ წელზე მეტხანს ვვარჯიშობდი. გთხოვთ, ნუ მომბაძავთ, ეს განსაკუთრებით ბავშვებს ეხება, — ხაზგასმით აღნიშნა ილუნმა.

# კატამ ექვსძაღლიან ხროვას აჯობა

თურქეთში კატა საკუთარი ტერიტორიის დასაცავად ექვსი ძაღლისგან შემდგარ ხროვას თავს დაესხა. აღნიშნული ინციდენტი ქუჩის სათვალთვალო კამერამ გადაიღო.





კამერის ჩანაწერში ჩანს, თუ ღამის საათებში ორი დიდი ძაღლი როგორ მიდის კიბის საფეხურებთან, რომელზეც შავი კატა ზის. ისინი მას ყნოსავენ. ამ დროს უცბად ცხოველი წამოხტება და მათ თავს ესხმის. ამის შემდეგ ძაღლები გაიქცნენ.

შემდეგ გამოჩნდა მესამე ძაღლი, მაგრამ კატისგან შეშინებული, პირველ ორ გაქცეულს გამოეკიდა. მეოთხე და მეხუთე ძაღლი ქუჩაში მდგარი მანქანის უკნიდან გამოვიდნენ, მაგრამ ისინიც სწრაფადვე გაიქცნენ. ბოლო მეექვსეს კი არც კი უცდია კატასთან მიახლოება, უბრალოდ, გვერდით ჩაუქროლა და გაქცეულებს შეუერთდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 27 აპრილისთვის



**ვერძი** — ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** — იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** — ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** — მამაკაცების საყურადღებოდ — იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** — დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** — სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით — მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** — ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** — ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** — დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** — ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** — დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

## 28 აპრილისათვის

**ვერძი** — დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **კურო** — ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **ტყუპები** — ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **კირჩხიბი** — ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ლომი** — შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** — სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარება მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს სთხოვეთ. **სასწორი** — გადით ქალაქგარეთ, ივარჯიშეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **ღრიანკალი** — საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **მშვილდოსანი** — გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **მერწყული** — კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **თევზები** — ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ევროპა ფინიშისკენ მიიწევს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**რომა-კალიარი**

რომა: ***ტრავმ***-დანიელე დე როსი, დავიდე სანტონი

კალიარი: ***ტრავმ***-ნიკოლა ბარელა, ლუკას კასტრო

**ინტერი-იუვენტუსი**

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი, სიმე ვრსალკო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ხედირა, მარიო მანჯუკიჩი, ჯორჯო კიელინი

**ფროზინონე-ნაპოლი**

ფროზინონე: ***ტრავმ***-რამან ჩიბსა, ფრანჩესკო კასატა, ბარტოშ სალამონი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ადამ უნასი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი, ამადუ დიავარა

**კიევო-პარმა**

კიევო: ***ტრავმ***-ემანუელ ჯიაჩერინი, ლუკა როზეტინი, ფილიპ ჯორჯევიჩი, პაველ იაროჟინსკი, სტრაჰინია ტანასიევიჩი

პარმა: ***ტრავმ***-რობერტო ინგლესე, ჯონათან ბიაბიანი, ალბერტო გრასი

**სპალი-ჯენოა**

სპალი: ***ტრავმ***-ლორენცო შიმიჩი, მოჰამედ ფარესი

ჯენოა: ***ტრავმ***-გორან პანდევი, ანდრეა ფავილი, ოსკარ ჰილიემარკი

**სამპდორია-ლაციო**

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ლეივა, ვალონ ბერიშა, ჯორდან ლუკაკუ

**ტორინო-მილანი**

ტორინო: ***ტრავმ***-სიმონე ზაზა, კოფი ჯიჯი

მილანი: ***ტრავმ***-ჯაკომო ბონავენტურა

**ატალანტა-უდინეზე**

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი

უდინეზე: ***ტრავმ***-ჰიდე ტერ ავესტი, ნიკოლას ოპოკუ, ვალონ ბეჰრამი

**ფიორენტინა-სასუოლო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარკო პიაცა

სასუოლო: ***ტრავმ***-მარლონი, კლოდ აჯაპონგი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 28 | 3 | 2 | 67-23 | 87 |
| 2.ნაპოლი | 33 | 20 | 7 | 6 | 62-30 | 67 |
| 3.ინტერი | 33 | 18 | 7 | 8 | 51-27 | 61 |
| 4.ატალანტა | 33 | 16 | 8 | 9 | 66-42 | 56 |
| 5.მილანი | 33 | 15 | 11 | 7 | 47-31 | 56 |
| 6.რომა | 33 | 15 | 10 | 8 | 58-46 | 55 |
| 7.ტორინო | 33 | 13 | 14 | 6 | 42-29 | 53 |
| 8.ლაციო | 33 | 15 | 7 | 11 | 47-35 | 52 |
| 9.სამპდორია | 33 | 14 | 6 | 13 | 53-44 | 48 |
| 10.კალიარი | 33 | 10 | 10 | 13 | 32-44 | 40 |
| 11.ფიორენტინა | 33 | 8 | 16 | 9 | 47-41 | 40 |
| 12.სასუოლო | 33 | 8 | 14 | 11 | 47-52 | 38 |
| 13.სპალი | 33 | 10 | 8 | 15 | 34-47 | 38 |
| 14.პარმა | 33 | 9 | 9 | 15 | 34-51 | 36 |
| 15.ჯენოა | 33 | 8 | 10 | 15 | 35-52 | 34 |
| 16.ბოლონია | 33 | 8 | 10 | 15 | 34-47 | 34 |
| 17.უდინეზე | 33 | 8 | 9 | 16 | 31-47 | 33 |
| 18.ემპოლი | 33 | 7 | 8 | 18 | 42-63 | 29 |
| 19.ფროზინონე | 33 | 5 | 8 | 20 | 26-60 | 23 |
| 20.კიევო | 33 | 2 | 11 | 20 | 24-68 | 14 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 2. „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალის" ავტორი; 3. ფაკულტეტის მართვის ორგანო უნივერსიტეტში; 4. ფრანგი ძიუდოისტი; 7. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 9. ვრცელი უტყეო ბუნებრივი ზონა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. მკვრივი ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 15. უმაღლესი სათათბირო ორგანო, სამეფო საბჭო ძველად საქართველოში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. ძველებური კაჟიანი თოფი.

**თარაზულად**: 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 8. გამოქვაბულებში, მიწისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. მუდმივი მყიდველი; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ნაწილი; 21. ქალაქი ბასკეთში; 22. ქალაქი გურიაში; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ოპიზარი; 2. მიჩიგანი; 3. სიროკო; 4. ჭინკა; 5. ჯაბახანა; 8. მატადორი; 12. როტა; 13. კუროსავა; 14. ალპები; 16. კალიარი; 18. გაუჩო; 20. იაგო.

**თარაზულად**: 6. აპატრიდი; 7. გლიპტიკა; 8. მწნილი; 9. გაყრა; 10. პარასოლი; 11. ვიბრაცია; 15. მუჯურეთული; 17. ჰავანა; 19. ბორისპოლი; 21. ტარაბუა; 22. პარანომია; 23. კონფუცი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჟურფიქსი; 2. სააბი; 3. კვარიათი; 4. ხაბაზი; 7. ოტიტი; 9. მძივი; 12. კრაკოვიაკი; 14. პიკაპი; 15. სკუტერი; 17. კოლომბო; 20. ჯოული.

**თარაზულად**: 5. მუკუზანი; 6. ბავარია; 8. კობალტი; 10. ვატიკანი; 11. ქსენძი; 13. პრატერი; 16. რიტორიკა; 18. ჰობოი; 19. ტურნე; 21. პომპეი; 22. არსენალი; 23. არაბიკა.

# საშა გველესიანი მთავრობას აკრიტიკებს



მსახიობი საშა გველესიანი მთავრობას აკრიტიკებს და ყველაზე მთავარი პრობლემებით დაინტერესებას ურჩევს:

– პატივცემულო მთავრობა! იმხელა საქმით ხართ დაკავებული, ლგბტ პარადით თუ პრაიდით, ლომების პარადი ალბათ?! რომ უხერხულია ახლა თქვენი მოცდენა, მაგრამ დავითგარეჯა მიაქვთ და ცოტა ხნით რომ გამოერთოთ ლგბტ-დან, მაგათ იციან თავისი საქმე და უთქვენოდაც კარგად და წარმატებულად სიყვარულობენ, და წამოიკნავლოთ რამე მაინც დავითგარეჯაზე, ძაან შეეშლება ხელი იმ პარად-პრაიდს?

# ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი თეატრების რთულ მდგომარეობაზე ალაპარაკდა



მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი საქართველოს თეატრების რთულ მდგომარეობაზე ალაპარაკდა:

– ხშირად მეკითხებიან: რა ხდება თეატრებში? როგორ არის საქმეები?

ჩემი პასუხი: რა შეხებაც მაქვს თეატრებთან, იმ გადმოსახედიდან ტ.აკში ვართ, ტ.აკში!

რეგიონალ თეატრ(ებ)ზე ხომ ზედმეტია საუბარი!

პ.ს. „რა შეხებაც შენ გაქვს, იქედან ვერაფერს დაინახავ" არ უნდა ასეთი ტექსტები. თქვენი შეხებიდან მანახეთ ერთი რა!

# ოთხთა ეკლესია შველას ითხოვს



ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული კულტურის საგანძური – ოთხთა ეკლესია შველას ითხოვს. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ტაძარი წლებია მიტოვებულია.

ტაო-კლარჯეთში იმყოფებოდა ხვთისო ტურაბელიძე, რომელმაც ტაძარში შექმნილი უმძიმესი ვითარება ვიდეოჩანაწერით გაავრცელა:

– ერთი წამით წარმოიდგინეთ, რა ემოცია მქონდა დღეს დილით. უცხო ტომების სამყაროში ჩაფლულს ეძინა ოთხთას ეკლესიას. ნაომარს, დამწვარს, ნაცემს... არ გავაღვიძე. ჩუმად მოვინახულე და წამოვედი.

როგორი ლამაზია ნახეთ და როგორი ქართული. ვარ აცრემლებული ახლაც. გთხოვთ ნახეთ, ჩადით. ქვებს მოეფერეთ... ჩვენი ნოტრდამი ესაა!

# „ნიჭიერის" მონაწილე ნიკოლოზ ფიფიას გულს სტკენენ



ნიკოლოზ ფიფია „ნიჭიერის" მონაწილეა და თავისი განსხვავებული გარეგნობის გამო ხშირად ექცევა ყურადღების ცენტრში. სითბოს და სიყვარულის პარალელურად, სამწუხაროდ, ნიკოლოზს დასცინიან და გულს სტკენენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ნიკოლოზის სკოლაში მოხდა, სადაც ერთ-ერთმა სკოლელმა მას დასცინა.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა დედამ ეკა ჭონქაძემ გაავრცელა:

– არასოდეს არ დამთავრდება ეს დაცინვა, გულის ტკენა? რით ვერ ვასწავლეთ ამ ბავშვებს, რომ არსებობენ განსხვავებული ადამიანები. ძიძას შეუმჩნევია, როგორ უბღვერდნენ ერთმანეთს. ეს რომ არ შეემჩნია, ვერც მივხვდებოდი. რომ ვკითხე, რატო არ მითხარი-მეთქი, სულ მე მადანაშაულებენო და მაგიტომ ვერ ვამბობდიო. სულ მე ხო ვარ დამნაშავეო. ყველა ჩემ გარშემო მართლები არიანო. მაინც მე გამომიყვან შენც და სხვები დამნაშავედო.

# ირაკლი ქვანია: „როგორ უნდა გიბედავდეს სხვა ქვეყანა, რომ შენი ეროვნული სიწმინდის გზაზე არ გიშვებდეს"



აცხადებს მოქანდაკე ირაკლი ქვანია და ქვეყანაში არსებული მდგომარეობით გაკვირვებულია:

– როგორ უნდა გიბედავდეს სხვა ქვეყანა, რომ შენი ეროვნული სიწმინდის გზაზე არ გიშვებდეს და მავთულებს გიბამდეს, ერთი გიბედავს, მეორე, მესამე. უკვე ჩამოთრეული ვირისშვილები ქართველებს სცემენ პლეხანოვზე და მთაწმინდის პარკში.

ლისის ტბის გარშემო სულ უცხოებისაა მიწები.

პასუხი ერთია, ყველამ იცის, რომ ქართველებთან ყველაფერი გაუვათ. არ სცალიათ ქართველებს ქვეყნისთვის, მარტო სუფრა და დოლარები აინტერესებთ.

ეტყობა, მართალია, ერი თუ გინდა გაანადგურო, დაავიწყე მისი ისტორია და ასწავლე მხოლოდ ფულის სიყვარული, დანარჩენი დროის საკითხია.

ერთი აღმაშენებელი უნდა ამ ქვეყანას.

1000 არაკაცს დააცლიდა თავებს და დანარჩენებს სულ მათრახით ასწავლიდა, როგორ უნდა იბრძოლო შენი ქვეყნისთვის.

# მიხეილ ზაქარიაშვილი: „მოვითხოვ მოქალაქეობის ჩამორთმევას იმ არაქართველი პირებისთვის, ვინც არ იცის ქართული ენა"



აცხადებს მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი და საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო ენის ცოდნას ავალდებულებს:

– სასწრაფოდ მოვითხოვ მოქალაქეობის ჩამორთმევას იმ არაქართველი პირებისთვის, ვინც არ იცის ქართული ენა და მოკლე ისტორია, ვინც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუნდაც აქ დაბადებულ გაზრდილი იყოს საუკუნეების მანძილზე!

როცა საქართველოში ცხოვრობ, აქ დაიბადე და არ იცი ქართული ენა, ეს იმას ნიშნავს, რომ პატივს არ სცემ ამ ქვეყანას, აქ მცხოვრებ აბორიგენ ერს და არ აღიარებ მის ტერიტორიულ მთლიანობას!

ასევე ბიზნესის გაკეთება თუ უნდათ უცხოელებს, აუცილებლად ქართველი უნდა ჰყავდეთ წილში ისე, როგორც ეს ხდება დუბაიში და უმუშევრობაც დამთავრდება ბევრისთვის!

სასწრაფოდ ჩააყენონ საზღვრებთან მესაზღვრეთა და სამხედროთა გაძლიერებული შემადგენლობა, რათა დაცული იქნას სათანადოდ ჩვენი საზღვრები! სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება მოსაზღვრე ქვეყნებთან, რათა დადგინდეს საქართველოს საზღვრები ბოლოს და ბოლოს.

# თათია შარანგია: „არაფერია შინაგანი თავისუფლების ფასი!"



პიანისტ თათია შარანგიას მიაჩნია, რომ ცხოვრებაში შინაგანი თავისუფლების ფასი არაფერია:

– არაფერია შინაგანი თავისუფლების ფასი! მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ამის სიმძაფრეს, როცა ამ თავისუფლების განცდას ვკარგავთ და ვკარგავთ მხოლოდ საკუთარი შეცდომებით. თავისუფლების განცდასთან ერთად ვკარგავთ ბავშვურ სილაღეს, ბედნიერებას, სამყაროს აღქმას. როცა ჩვენგან გადის „ბავშვობა" და მეტწილად რჩება „ზრდასრული", ჩვენი თვალები აღარ ციმციმებს ჩვეული გულწრფელობით.

შეცდომებში ვგულისხმობ სხვა ადამიანების ზედმეტ ჩართულობას ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც მათ მისცემ ამის უფლებას, ისინიც დაუღალავად იწყებენ ჩვენში პოზიტიური ემოციების და ენერგეტიკის ჩახშობას. შეცდომაა, როცა გვგონია სხვის ცხოვრებასა და შინაგან მოთხოვნილებებზე მეტი ვიცით, ვიდრე მათ იციან საკუთარ თავზე. შეცდომაა, როცა მათი გვერდში დგომის მაგივრად მათ განკითხვას და ჭკუის სწავლებას ვიწყებთ. შეცდომაა, როცა გვინდა ადამიანები მივიღოთ ისეთები, როგორც ჩვენ გამოვიგონებთ მათ.

სწორია, როცა ის ადამიანები გვიყვარს ისეთები, როგორებიც თვითონ არიან და როგორც თვითონ ესმით ბედნიერება. ჩემი თვალით დანახული ბედნიერება ვერ დაემთხვევა შენსას. მაგრამ მე მაქვს უფლება, ჩემი ბედნიერებით ვიცხოვრო და მიხაროდეს გათენება. ასევე გაქვს შენც. აი ეს არის ჭეშმარიტება.

ცხოვრება, სამწუხაროდ, ხანმოკლეა. ვერასდროს ვიქნებით ყველასთვის მოსაწონი. ამიტომ მაქსიმალურად ვისიამოვნოთ თითოეული დღით და ერთმანეთით. ვიცხოვროთ სიყვარულზე შეყვარებულმა, გვიხაროდეს ერთმანეთის ბედნიერება და ის ბედნიერება აუცილებლად მოგვიკაკუნებს ჩვენც.

მშობლებო, მიიღეთ შვილები ისეთები, როგორებიც არიან. შეიყვარეთ მათი თვისებები და თუ რამეს მათ შეცდომად მოიაზრებთ, საკუთარ თავში ჩაღრმავდით და მშობლის ინტუიცია მიგახვედრებთ მიზეზებს მათი ამა თუ იმ საქციელის. ჩაიხუტეთ, ესაუბრეთ მეტი და არასდროს ჰკრათ ხელი. მეგობრებო, მიიღეთ თქვენი მეგობრები ისეთები, როგორიც არიან და არასდროს დაიზაროთ მათი მოსმენა და არ მიაკითხოთ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ გჭირდებათ მისი ენერგია.

შვილებო, მოეფერეთ მშობლებს და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენი ხედვაც მომავალში ვერ იქნება იდენტური თქვენი შვილებისა. სიყვარულია ამ ყველაფრის საიდუმლო და ნიჭი ყოველთვის შევძლოთ საკუთარი თავის გაიგივება სხვასთან.

მე ბედნიერი ადამიანი ვარ და არასდროს მაქვს გულწრფელი თანადგომის დანაკლისი არც სიხარულში და არც ცხოვრებისეულ დაბრკოლებებში, რადგან მარიამი მყავს გვერდით. ჩემი საუკეთესო მე. ხო მართლა, დედმამიშვილების ფასი ქვეყნად არაფერია.

# ქუთაისის ოპერის თეატრი უხარისხოდ შესრულებული რემონტის გამო, ისევ სარემონტოა

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობა უხარისხოდ შესრულებული სარემონტო სამუშაოების გამო, ისევ სარემონტოა.

ინფორმაცია ამის შესახებ თეატრის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– თეატრის შენობის დიდ ნაწილს მართლაც ესაჭიროება სერიოზული შეკეთება, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი ვითარება: ქუთაისის ოპერის თეატრს მასშტაბური რეაბილიტაცია 2010 წელს ჩაუტარდა, რისთვისაც 4 800 000 ლარი დაიხარჯა, თუმცა, გახსნიდან მალევე შენობაში წყალი ჩამოვიდა და თანდათან, საკმაოდ მალე უფრო თვალნათელი, ხილული გახდა უხარისხოდ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების სავალალო შედეგები. ამასთანავე, შენობის გარკვეული ნაწილი საერთოდ გაურემონტებელი დარჩა, პირველი სართულის ძველი სასაწყობე ფართი, მეორე სართულის ყოფილი ადმინისტრაციული ნაწილი, რომლის თეატრის საკუთრებაში ყოფნის საკითხი დღემდე გაურკვეველი და გადაუწყვეტელია.

ყველაზე პარადოქსული ის გახლავთ, რომ უკვე 9 წელია, ქუთაისის საოპერო თეატრის შენობის სარემონტო სამუშაოები დასრულებულად ითვლება, მაგრამ დიდი ნაწილი შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებისა საერთოდ არ არსებობს და შეიძლება ითქვას, ამ შენობის ბედი ჰაერშია გამოკიდებული. თავის დროზე, უხარისხოდ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების საქმე საგამოძიებლო ორგანოებს გადაეცა და პასუხი, დასკვნა, სამწუხაროდ, ჯერაც არ არსებობს. საკითხის გარკვევა-გადაწყვეტისთვის აუცილებელი პროცედურები უკვე დაწყებულია და ვიმედოვნებთ, რომ შესაბამისი უწყებების აქტიური ჩართულობით საკითხი თეატრისთვის და ქალაქისთვის დადებითად გადაწყდება.



აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პრობლემების მიუხედავად, თეატრი სრულად ფუნქციონირებს, იმართება პრემიერები, სპექტაკლები, კონცერტები, სხვადასხვა ღონისძიებები.

კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში ქუთაისის მერიამ ჩვენს არაერთ წამოწყებას დაუჭირა ფინანსური რესურსით მხარი, მხოლოდ 2018 წელს თეატრში განხორციელდა პიეტრო მასკანის შედევრის ოპერა „სოფლის ღირსების" საპრემიერო დადგმა, ათწლეულების შემდეგ აღდგა საერთაშორისო საოპერო ფესტივალის გამართვის ტრადიცია და შარშან სექტემბერში უდიდესი წარმატებით ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი, თეატრის წინ გაიხსნა ჩვენი სახელოვანი არტისტების რამაზ კუბლაშვილისა და ნაირა კიკოლიაშვილის სახელობითი ვარსკვლავები და აღნიშნული ღონისძიებების ხორცშესხმა სწორედ ქუთაისის მერიის ფინანსური მეოხებით გახდა შესაძლებელი. ქუთაისის მერია გეგმავს თეატრის 50 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერასაც. გვაქვს იმედი იმისა, რომ საქმის, ქალაქისა და ქვეყნის დიდი სიყვარულით, ერთგულებითა და პროფესიონალიზმით კიდევ მრავალ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ერთად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

27 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.7007

ევრო — 3.0067

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.478

100 რუსული რუბლი — 4.1654

**ამინდის პროგნოზი 27 აპრილისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**23 აპრილიდან**

კარლო კოლოდი

**პინოკიოს თავგადასავალი**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

**16 აპრილიდან**

მარკ ტვენი

**პრინცი და მაწანწალა**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



**12 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**19 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



**3 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი

ბიჭი გოგოს სმს-ს უგზავნის:

– ეს აბონენტი ცოლად გაყოლას გთხოვთ...

მალე მიიღო პასუხი:

– პატივცემულო აბონენტო! თქვენ ანგარიშზე საკმარისი თანხა არ გაგაჩნიათ მოცემული ოპერაციის განსახორციელებლად.

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, თუ ბავშვობაში არც კომპიუტერი გქონდა და არც ინტერნეტი, მაშინ რა გქონდა?

– ბავშვობა მქონდა, შვილო, ბავშვობა!

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ ის გოგონა არ ხართ, წუხელის ბარში მაგიდაზე საცვლების ამარა რომ ცეკვავდით?

– პოო, როგორც ჩანს, ძალიან ადრე წამოსულხართ ბარიდან!

●●●

ექიმი ყურებდამწვარ პაციენტს ეკითხება:

– ეს როგორ მოგივიდა?

– ტელეფონმა დარეკა და შემთხვევით ცხელი უთო მივიდე.

– და მეორე ყური როგორღა დაიწვით?

– სასწრაფოში რომ ვრეკავდი...

●●●

მძიმედ ავადმყოფმა მამამ შვილს თავისთან უხმო და ეუბნება:

– შვილო, ცოლის მოყვანას თუ აპირებ, ქალაქელი გოგო მოიყვანე...

– რატო, მამი?

– მაგათ შვილი სამ თვეში უჩნდებათ და იქნებ შვილიშვილს მოვესწრო...

●●●

თბილისში ჩასული ქუთაისელი ერთ მეგობარს ესტუმრა. მგზავრობაში მოშიებულს მასპინძელი ყავით გაუმასპინძლდა. იქიდან წამოსულმა მეორე მეგობარს შეუარა. იქაც ყავა დაალევინეს. ესტუმრა მესამეს. იქაც ყავით გაუმასპინძლდნენ. მეოთხე მეგობართან მისულს, მასპინძელი ეკითხება:

– ცხელ ყავას დალევ თუ ცივს?

– ცხელი იყოს, ოღონდ შიგნით ერთი ცალი კარტოფილი ჩამიგდეთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ემილიანო სალას მამა გარდაიცვალა






ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის ემილიანო სალას ოჯახში კიდევ ერთი ტრაგედია მოხდა. ემილიანოს მამა, ჰორაციო სალა, გულის შეტევით გარდაიცვალა.

შვილის დაღუპვის შემდეგ ჰორაციოს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და, როგორც ჩანს, მისმა გულმა დარდს ვერ გაუძლო.

შეგახსენებთ, რომ ემილიანო სალა ნანტიდან კარდიფში მიფრინავდა, როდესაც მისი თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა.

სალას ცხედარი 2 კვირის შემდეგ აღმოაჩინეს.

## ფერნანდინიო ამ სეზონში აღარ ითამაშებს



მანჩესტერ სიტის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფერნანდინიო ამ სეზონში, სავარაუდოდ, თავის გუნდს ველარ დაეხმარება.

ფერნანდინიომ ტრავმა მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო და ის 51-ე წუთზე შეცვალეს.

როგორც სიტის ექიმები ვარაუდობენ, ფერნანდინიო ერთი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას და მზად მაისის ბოლოს იქნება, როდესაც სეზონი უკვე დასრულდება. ფერნანდინიოს დაკარგვა მანჩესტერელებისთვის საკმაოდ დიდი დანაკლისია, რადგან ის სიტის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

## იურგენ კლოპი: „ვიცოდი, რომ სიტი იუნაიტედს მოუგებდა“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის ელოდა იმ შედეგს, რომელიც მანჩესტერულ დერბიში დაფიქსირდა, ანუ სიტის გამარჯვებას. კლოპის თქმით, ამჟამად სიტი გაცილებით ძლიერია იუნაიტედზე და ეს შედეგი ლოგიკური იყო:

– სამწუხაროდ, ჩვენთვის ცუდი შედეგი დაფიქსირდა და სიტი ახლოს არის ჩემპიონობასთან. მისი გამარჯვება არ გამკვირვებია, რადგან ამჟამად სიტი გაცილებით ძლიერია იუნაიტედზე და ეს მოედანზეც გამოჩნდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მოცურავეს იშვიათი სახეობის ზვიგენმა უკბინა



აშშ-ის ჰავაის კუნძულებზე კალიფორნიელ ტურისტს ამ ადგილისთვის იშვიათი სახეობის ზვიგენი დაესხა თავს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ანახუმალიუს პლაჟზე მოხდა. ზვიგენმა 65 წლის ქალს, რომელიც წყალში ნაპირიდან რამდენიმე ასეულ მეტრში იმყოფებოდა, მარჯვენა თეძოზე უკბინა. ქალი სასწრაფოდ ნაპირზე გაიყვანეს, შემდეგ კი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელიც კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ის სტაბილურ მდგომარეობაშია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ქალს თეძოზე 30-სანტიმეტრიანი იარა აქვს.

ბუნების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელ დენ დენისონის თქმით, ქალს თავს მარჯნის რიფების ზვიგენი დაესხა. ის მომხდარით ძალზე გაკვირვებულია, ვინაიდან აქამდე ჰავაის კუნძულებზე ადამიანზე ამ სახეობის ზვიგენის თავდასხმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 5. გეოდეზიური ხელსაწყო; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ეკლესია; 12. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ინდიელთა ვიწრო, გრძელი ხის ნავი; 16. ბრიტანული, ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 18. რგოლისებრი მარჯნის კუნძული ოკეანეში; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად**: 6. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 8. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სხეულის მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 11. ტვირთბრუნვით გერმანიის ყველაზე დიდი ნავსადგური; 15. გულის ცემის აჩქარება; 17. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 19. პატეფონის ერთ-ერთი ნაირსახეობა; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. საჯარისო შენაერთი; 23. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

